

შინაური საქმეები.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

№ 23-24.

შასი ერთი შაური

ფლიური შასი 4 მან.

წელიწადი შეეძება

კვირა, 28 ივლისი 1913 წელი.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

შინაური საქმეები

ხელის მოწინა მთავარ რედაქტორს, ქ. ქუთაისში (საბუნთალო) — კაზაკოვის შუამდგომლობის სახარში, სომხთაგანის შუამდგომლობის სახარში, სომხთაგანის შუამდგომლობის სახარში.

მაღალთაგან. გამოვლენილი თქვენი ოთხი ნომერი.

გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	სახ. წლი:	სამი თეთი:	ერთი თეთი:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფილის შიშველი წლიური გამოვლენის შედეგად ასე განაწილდა: თაფლან 2 მ. და 1 იუნის 2 მ. განაწილდა ფასი წინა კვირებზე შემოქმედით სტრუქტურის ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქციას.

შინაური: 1. მოწინავე; 2. სახელმწიფო სათათბირო; 3. ჩვენი ერთგულების მოამბე ინტელიგენცია და სარწმუნოება—იაკინთე ნიკორწმინდელი; 4. ყოველ-კვირული პროვინციელისა—კ. გძელი; 5. რა დავაშავებ?—ლადო ბზვანელი; 6. ახლო-მახლო—კირილე წუთისოფელი; 7. დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე (ნეკროლოგი)—დამსწრე მღვდელი 8. კვირიდან-კვირამდე; 9. დუმის სამღვდლოების დეპუტაცია.

ჩვენი სახალხო შკოლები.

ჩვენი სახალხო შკოლა დღეს საპოლიტიკანო სარბიელად არის გამხდარი. იგი იმდენათ სწავლა-განათლებას და ზნეობა გონების ამაღლებას არ ემსახურება, რამდენად გზადანეულ რუსეთის ბიუროკრატის განაპირა ხალხების გარუსების პოლიტიკას. რომელიც გინდა ტიპის შკოლა აიღეთ, გინდა საერო, — გინდა სასულიერო, გინდა დაბალი, გინდა მაღალი—ყველგან ამ გამარუსებელ პოლიტიკას შეხედვით, პოლიტიკას, რომელიც თავიდან ბოლომდე რყენის ახალგაზდობას, იწვევს მათში უკიდურეს შოვინისტობას და ამლიერებს სხვა და სხვა დღევანდელ წესწყობილებების უმადურთა პარტიებს. იორილ წინასწარმეტყველისა არ იყოს უფალმა წაართვა ბიუროკრატის თავის დაცვის უნარიც კი და რამდენ ნაბიჯს ადგამს წინ, იმდენ უკმაყოფილებას და ამხედრებას იწვევს საზოგადოების მხრით თავის წინააღმდეგ. ამასთან თვით მათშიდაც არე-დარევა შევიდა—უფროსმა არ იცის, უნკროსი რას აკეთებს, რადგან უფროსების თავგასულობა უნკროსებსაც გადაედო. ისე მოხდა მავალითად ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისის დირექციის შკოლებში, სა-



დაც სრულიად ნებადაურველად და უფროსების დაუკითხავად, ბატონმა ქუთაისის შკოლეზის დირექტორმა უარყო 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც 1905 წლიდან მოქმედებაში იყო, და შემოიღო მთავრობის მიერ უარყოფილი გეგმა, რომლის მიზანი დედა-ენის დაწინაურება და მონაწილე მეთოდით რუსულის სწავლებაა. რა თქმა უნდა, ასეთ უკანონო განკარგულებას წინააღმდეგენ შეგნებული მასწავლებლებიც და საზოგადოებაც და ბ. დირექტორს მალე უკან დააბრუნებინეს თავის-ნება განკარგულება. მაგრამ ის ვაბედული და შეგნებული მასწავლებლები მაინც ისჯებიან და ნელ-ნელა ადვილს ჰკარგავენ. ამ საქციელით ეჭვი არ არის დირექტორი ნიადაგს უშხადებს თავის პროგრამას, რომ მაიკუს და უვიც მასწავლებლების ხელში ადვილად დაუბრკოლებლად გაატაროს თავისი მისწრაფება. ბ. დირექტორს ჰგონია, რომ ასეთი მოქმედებით იგი აკავშირებს ორ ერთმორწმუნეებს ურთიერთ-შორის და სწორეთ მისი და მისი თანამოაზრეების გზადმხედლობაც, ამაში გამოიხატება. წინააღმდეგ, ასეთი პოლიტიკა ამწვავებს მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებას, სთესს მათ შორის შურს, სიძულილს და, ვინ იცის კიდევ რას გამოიწვევს. ესეც რომ არ იყოს, რა უნდა შკოლის წმინდა საკურთხეველზე ჩველთა სპეტაკ გრძნობის წინაშე პოლიტიკას, რომელსაც სიძულილის მეტი არაფერი ნაყოფი მოაქვს. ვასაკვირი არ არის, რომ მოსწავლეებმა სრულებით შეიძულოს დღევანდელი შკოლა, რომელიც არ ელაპარაკება, არ ასწავლის მას ვასაგებ ენაზე. თუ ასეთ მაგალითებს ვერ ვხედავთ, თუ, წინააღმდეგ, ახალგაზდობა მაინც მიიღტვის შკოლისაკენ ამის მიზეზათ უნდა მივიღოთ ქართველების გაუმადლობა სწავლისადმი. ეჭვი არა გვაქვს, რომ ჩვენი სახალხო შკოლის ასეთი მიმართულება ეგრე ადვილად არ გამოკეთდება, პიუროკრატია ეგრე ადვილად არ შეეღვევა თავის იდეალს და არ დაადგება სალი პედაგოგიკის გზას, გამარჯვებული პოლიტიკა მთავრობის შკოლებში ყოველთვის დარჩება ამ შკოლების სულად და გულად. არც ის არის საეჭვო, რომ ქართველი მოსწავლე ვერ გამოიტანს შკოლიდან იმას, რის გამოტანა მას შეეძლო სხვა დროს და სხვა მდგომარეობაში, რომ შკოლა ეროვნულ ნიადაგზე არსებობდეს. ამ შემთხვევაში ყველანი მოვალე ვართ ვეცადოთ ხაკუთარი ეროვნული შკოლები ვაეძლიეროთ, როგორც არის მავ.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების შკოლები. ამასვე ურჩევთ ქ. ქუთაისის გამგეობასაც და სხვა ქართველ ქალაქების გამგეობებსაც.

ქვემოთ მოგვყავს ბ. ლაღო ბზენელის პირველი წერილი, რომლის დასასრული შემდეგ ნომერში დაისტამბება. აქედგან მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ რა უკადრის საქმეს ჩადიან რუსეთის მტერპოყვრები თავის ბნელ იდეალების განსახორციელებლად.

მეცნიერული გამოკვლევა სალომიას *) შესახებ.

პარიზის წარწერათა აკადემიის უკანასკნელ სხდომაზე თეოდორ რეინაკმა წაიკითხა მოხსენება, დაფუძნებული ნიკოპოლისის ძველ ფულეების შესწავლაზე, შესახებ არისტობულისა და ცნობილ სალომიასა. არისტობული იყო მეფე მკირე სომხითისა, ხოლო სალომია მისი ცოლი. აქამდე ნიკოპოლისის, მკირე სომხითის სატახტო ქალაქის, ფული არ იყო შესწავლილი. რეინაკმა ხელი მოჰკიდა ამ ნუმიზმატიურ მასალას და გამოაქვეყნა მთელი რიგი ახალი ცნობებისა სალომიასა და მისი მეუღლის შესახებ. ისეთი ლამაზი იყო თუ არა სალომია როგორც მოგვიტბრობს ვადმოცემა? ერთ ფულზე შენახული მისი სურათის მიხედვით მისი სილამაზის ლეგენდას აქვს საფუძველი. სწორი ცხვირი, მაღალი შუბლი, სახის გამბედავი გამომეტყველება, ვნებათა აღმზებელი ტუჩები, ყველა ამ ხაზებს ატარებს ფულზე გამოხატული სურათი. შენახულა არისტობულის სურათიც, ეს ყოფილა მახინჯი კაცი მრუდე ცხვირით და სახის ჩლუნგი, უნიკო გამომეტყველებით. არისტობული იყო მკვიდრი ბიძა სალომიასი. როცა მას გაყოლია, სალომია უკვე ქვრივი ყოფილა. პირველი მისი ქმარი ყოფილა მისივე ახლო ნათესავი ღრმა მოხუცებული ფილიპე.

ქრონოლოგიურ დატების მიხედვით, სალომია 11 წლის ყოფილა, როცა მას თავის საბედისწრო როცა უთამაშნია მეფის წინაშე რეინაკი თავის მოხსენებაში ეხება სალომიას ლეგენდარულ სიკვდილს. ნიკოპოლისის დედოფალი ვადაცივალა, როცა იგი თავის სილამაზის უმაღლეს წერტილზე იდგა. მას უნ-

*) საზარების სალომია, ირთიდაღას ქალი, რომელმაც თავის როცვით ასიამოვნა იროდ მეფე თავის სტუმრებიანათ და ნაცულად მოითხოვა იოანე ნათლისმცემლის თავი.

რედ.

დოდა გასულიყო ზამთარში გაყინულ მდინარეზე. ყინული თხელი იყო და გაუტყდა ფეხქვეშ. სალომე ჩავარდა წყალში და, როცა მას ყინულზე ამოსვლა უნდოდა, წვეტიანმა ყინულმა წაჰკრა კისერში და თავი ტანს მოაცილა. ლეგენდა ამ სიკვდილოს უპირდაპირებს საშინელ სასყიდელს, რომელიც მიიღო სალომიამ საბელისწრო როკვისათვის.

სახელმწიფო სათათბირო*)

ჩხეიძე (თბილ, გუბერ.) ბ. ბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრებო, ჩემზე წინ მოლაპარაკე ორატორი გამოვიდა, როგორც სასულიერო უწყების და წოდების დამფასებელი; თუმცა ძლიერ რბილი, როგორც ეს შეშვენის საზოგადოთ ცენტრის წარმომადგენელს. მე უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს გამოვდივარ სრულიად ჩემთვის უჩვეულო როლში (ხმები მარჯვნიდან: ეს მართალია).. მონანულის როლში, გზა დაბნეული კაცის როლში, რომელმაც ახლა მიადწია იმ სინამდვილემდი, რომ აუცილებლად უნდა სთქვას აღსარება ერთგვარი სახით (ხმაურობა).

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ ზალაში სიჩუმე დაიცვათ.

ჩხეიძე. საქმე იმაშია, ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრებო, რომ 9 მაისს მე შემომგება შემარჯვენე გლებ დეპუტატების ჯგუფი და მომილოცა ანგელოზის დღე; ერთმა მათგანმა ხელი ჩამომართვა და მისურვა, რომ ღმერთს ბოლოს მაინც მოვეყვანე ქუაზე. (ტაში და სიცილი მარჯვნივ).. და რომ მე დედგომოდე ქვეშაობების გზას. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ამ სიტყვებმა მე ჩაშფიქრეს, და რადგან იმ ხანებში ჩემი გონება მოკული იყო უწ, სინოდის ხარჯთაღრიცხვის საკითხით, ამიტომ ჩემი მთელი არსება მივაყარი რელიგიოზური ხასიათის საკითხებს, უმთავრესად კი სამღვდლოებას. და აი მოვახდინე რა შეფასება რომელიმე ღირსებულებათა ამ საკითხის დარგში, და გადავსინჯე რა ჩემი ძველი შეხედულება ამ საკითხზე, მე მოულოდნელად მივედი ჩემთვის...

ნოვიცკი 2 (ადგილიდან). როგორც სახელწოდების მოდღესასწაულე.

ჩხეიძე. სრულიად ახალ დასკვნამდი. აღმოუჩინე, რომ ამ საკითხში მე მართლაც რომ დაბნეული ვიყავი, და რომ თანამედროვე სამღვდლოება

უცილობლად დგას თავის მოწოდების უმაღლეს საფეხურზე. აზრთა მსვლელობა, რომლებმაც მე აქამდი მიმიყვანა იყო დაახლოვებით ასეთი: რას წარმოადგენს თავისთავად სამღვდლოება, რაა მისი დანიშნულება, მიზანი, და როგორ, რა გზით, მიღის ის თავისი დანიშნულების, მიზნის განსახორციელებლად. ჩვენ კარგად ვიცით, ვფიქრობდი მე, მაგალითად, რას წარმოადგენს თავისთავად თავდაზნაურობა. ის წარმოადგენს მოწინავე წოდებას რუსეთში, ან არა და დებ. მარკოვის ნამდვილი და გარკვეული განმარტებით, ის არის ხალხის გონება, მასთან მარკოვის გონება, გველის გონების არ იყვეს, თავისი განვითარების ხანაში ააშკარავებს მთელ სხვადასხვაობას რუსეთის ხალხის ცხოვრებისას, მთელი მისი კულტურული და სულიერი კეთილდღეობებით, მხოლოდ ამ ობიექტის უფრო თვალსაჩინო ყოფისთვის, როგორც თქვენ იცით, ეს გონება ითხოვს—ასე 50,000,000 საუკეთესო მიწას. როგორც ხედავთ, ბატონებო, თავდაზნაურობა, გვაშხადებს ჩვენ, ასე ვთქვათ, უკეთესი ცხოვრებისათვის აქ, გვაკავშირებს რა მიწასთან ჩვენ პლანეტზე.

მარკოვი მეორე (ადგილზე). ტინისთვის საჭიროა სისხლი. (თავმჯდომარე ზარს რეკს.)

ჩხეიძე. სულ სხვაგვარად არის ბატონებო, საქმის მდგომარეობა ჩვენ სამღვდლოებაში. თუ, მარკოვი მეორეს განმარტებით, თავდაზნაურობა ხალხის გონებაა, აქედან შეუცდომელად შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ სამღვდლოება ხალხის სულია, მის მართვა-გამგეობაში, ვერე ვთქვათ, სულიერი ნაწილი ჩვენი არსებობისა. ის გვასწავლის რომ ჩვენი სხეული მომაკვდავია, ბრწყინადი, სული კი უკვდავი, რომ აქ, ამ მიწაზე ჩვენ, ასე ვთქვათ, სტუმრები ვართ; დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები, მიწა ხარ და მიწათ იქცევი. მართლმადიდებელ სამღვდლოების მოძღვრებით აქაური ცხოვრება, ცხოვრება ამ ქვეყნიური, მომზადებაა უკეთესი ცხოვრებისათვის, საიქიოს ცხოვრებისათვის. ვინ გვაშხადებს ჩვენ, ბატონებო, ამ ცხოვრებისთვის? თავისთავად აშკარაა, რომ სამღვდლოება, ის მოდის ჩვენთან და გვიმსუბუქებს მძიმე გზას ამ ქვეყნიური არსებობისას. ეს

*) ის. „შინ, საქ.“ № 21—22.

გზა კი, ბატონებო, მართლაც რომ ძლიერ და მეტათ ძლიერ სამძიშოა, რადგან ჩვენი სხეული, როგორც გვასწავლის სამღვდელოება, ყოველგვარ შეცდომებისკენ მიგვაქანებს. ზოგს ჩვენგანს უყვარს გადაკვრა და კარგად ჭამა, ზოგს სურს კარგი სახლი შეიძინოს, კარგი ავტომობილიც, ზოგი მიწას იძენს თავისთვის, სხვები თითქმის ფულებსაც იძენენ. აი სწორედ, ასეთ დროს, ასეთი მაცდურობით გატაცების დროს, სამღვდელოება შოდის ჩვენთან იმისთვის რომ განკურნოს, ასე ვთქვათ, ჩვენი სული სასოწარკვეთილებისაგან, მთავრობის-მოყვარეობისა და მწუხარებისაგან (ხმა მარჯვენა: ტექსტი კი ნაკლებათ ცოდნია)... და, ახსოვთ რა ყოველთვის, რომ სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკედარ არს, სამღვდელოება გვაძლევს ჩვენ მაგალითს იმ ცხოვრებისას, რომელსაც ასე ვთქვათ, მივყავართ ჩვენ უკეთეს საიქიო ცხოვრებისაკენ. აილეთ მაგალითად ქრისტეს მცნებანი: „უადვილეს არს აქლემი განსვლად ხერვლსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა, ასწავლიდა ქრისტე, როგორც თქვენ გენახსოვრებათ. „ყველა ქრისტიანენი იყვენ ერთ და ქონდათ ყოველივე საერთო“, ასწავლის მოციქული. „დიდი ჯამაგირი ამცირებს მის მიმღებს, ასწავლიდა დღეს მ. ოსტროუმოვი და, აი, ბატონებო, ამ მცნების აღსასრულლებლად, იღებენ: მოსკოვის მიტროპოლიტი—ჯამაგირს 6,000 მ., სასადილოს—8,000 მ., ჩუღოვის მონასტრიდან—6,000 მ., ტროიცკო-სერგიევის ლავრიდან—12,000 მ., იფერის სამლოცველოდან—45,000 მ., სულ კი 82,000 მ.; კიევის მიტროპოლიტი—ჯამაგირს 5,000 მ., სასადილოს—4,000 მ., არქიელის სახლიდან 10,000 მ., პეჩორის ლავრიდან 60,000 მ., სულ 84,000 მ. (მარკოვი მეორე (ადგილიდან) ჩხვიძე კი 350,000 მ.) პეტერბურგის მიტროპოლიტი: ჯამაგირს 5,000 მ., სასადილოს 4,000 მ., ნევის ლავრიდან 250,000 მ., სულ—256,000 მ. უფრო სუსტათ მოწყობილია არხიებისკოპოზების საქმე, მაგ. კაზანის და ვლადიმირის არხიებისკოპოზები ღებულობენ თითო 10,000 მ. აი ვლადი-

მერ კარლოვიჩი ღებულობს სულ 18,000 მ. წელიწადში. 245 მართლმადიდებელ ეკლესიას აქვთ მიწები 250-დან 500 დესიატინამდე, 50 მონასტერს 500-დან და უფრო ზევით, 14 მონასტერს 1,000-დან 1,500-მდე და 15 მონასტერს თითოს 1,500. ყველა ამ მიწების ღებულობა უდრის 116,000,000 მ., შემოსავალი კი 3,000,000-დან 4,000,000-მანეთამდე. შემდეგ, რაკი არსებობს კერძო საკუთრება, არსებობენ სასამართლოები, საჩივრები, დავა, ჩხუბი, ამხედრება, ცოდვები, უსამართლოებანი და მკვლელობანი. საიდან წარმოსდინდებიან ყველა ეს განსაცდელნი? მხოლოდ და მხოლოდ კერძო საკუთრებიდან. „მაშასადამე, ძმებო, მოვერიდოთ ნიეთის დასაკუთრებასა, ან არა და, თავი შევიკავოთ და ნუ შევიყვარებთ“, ასწავლიდა წმ. კლიმენტი. აქ, ბატონებო, მე ერთგვარ უხერხულობაში ვარ ჩავარდნილი: იკერენ განა თავს ჩვენი ბერები საკუთრების სიყვარულისაგან, რადგან იმ მიწებიდან 300 მონასტერს აქვს 50-100-მდე, 130 მონასტერს 100-200-მდე; 235, 200-500-მდე, 94 მონასტერს 500-1000-მდე, 59 მონასტერს 1000-3000-მდე, 12 მონასტერს 3000-5000-მდე, 7 მონასტერს 5000-10000-მდე, 5 მონასტერს 10000 დესიატინამდე და მეტი.

სათითოდ სოლოვეცკის მონასტერს აქვს 66,000 დეს., კოვეოზერისას 24,000 დეს., ტროიცკო-ზელენეცკისას 22,000 დეს., საროვისას 26,000 დეს. „იტვირთეთ ქრისტეს გულისათვის მადლი სულისა წმიდისა, ივაჭრეთ სულიერათ მითი... (ხმები მარჯვენა: ეს მასხარად ავღებთ) რა მეტ შემოსავალს მოგცემთ“, ასწავლიდა სერაფიმე საროველი. და აი, მცირეოდნავაც არ ულალატათ ვანდუგილის და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის წმიდანის სწავლისათვის. ათი წლის წინად მარტო პეტერბურგში მონასტრებს ეკუთვნოდა 266 საეზოვე მიწა შენობებით; აქ სახეში არ არის მიღებული ისეთები, რომლებიც საწყობებს უკავია; კიევში ქონდა 114 საეზოვე ადგილი, მოსკოვში 908 სახლი, რომლე-

ბიკ ეკუთვნოდა ეკლესიებს და 116 მონასტერს. ყველა ეს შენობები აძლევენ საკმაოდ დიდ შემოსავალს. მიუმატეთ ამას აუარებელი რიკები სასტუმროებისა, გასაჩიარებელ ეზოებისა, მორთულ ოთახებისა, რომლებიც მონასტრებს ეკუთვნიან; გარდა ამისა, გაიხსენეთ, ბატონებო, რომ ბევრმა მონასტრებმა უკვე მოაწყვეს საგანგებო კაპიტალისტური წარმოება შრომის ექსპლოატაციით და თქვენ უნდა დამეთანხმოთ, რომ სერაფიმე საროველს ყავს დიდებული მიმდევრები, ჩვენი საღვდელოების სახით, რომელიც ქრისტეს გულისათვის ვაჭრობს მადლით. „ნუ წაიღებთ ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც სპილენძს სარტყელსა თქვენსა,“ — ასწავლიდა ქრისტე თავის მოწაფეებს. აქ, ბატონებო, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია, ჩვენი ბერები, სულიერი მამები უნდა იწვევდნენ განკვიფრებას ყველა იმათში, რომლებიც ცოტადნათ დაკვირვებიან საქმეს, რადგან დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო ოქროს და ვერცხლს, არამედ სპილენძსაც არ იღებენ ისინი სარტყელსა თვისსა — ყველა ის ინახება ბანკებში, ბატონებო (სიცილი მარცხენი), და რომ ვინმემ არ შემომწამოს რომ ვითომც სამღვდელოებას ცალმხრივით ვსჯიდე, ნება მომეცით მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითი. 116 მონასტერს მესამოცე წლებში შენახული ქონდა 700,000 მ. ხოლო რამოდენიმე ეკლესიას 1889 წ. აღმოუჩნდა სამუდამო თანხა 8,200,000 მ., ალექსანდრე ნეველის ლავრის თანხა უდრის 300,000 მ., ვალაამის მონასტრის კაპიტალი 1904 წ. შეადგენდა 300,000 მ., ტროიცკო-სერგიევის და კიევიპეტროვის ლავრის კაპიტალი გაცილებით მეტია ვიდრე ალექსანდრე ნეველის ლავრის მონასტრების და ეკლესიების თანხებზე ცნობებს ჩვენ ეკითხულობთ წიგნიდან, რომლის სათაურია: „რუსეთი ციფირებში.“ შეიძლება ვიღე ამ ნაირად გასაჯო კაცმა: უწმიდესი სინოდის ხარჯ-ღირებულებაში 1902 წ. შეტანილი იყო გადასახადის ასანახაღურებლად იმ ფულების შემოსავლიდან, რომლებიც ეკუთვნიან უწ. სინოდს და იმ დაწესებულებათ, რომლებ-

ბიკ ექვემდებარებიან ამ უწყებას, 142,422 მ. მარტო შემოსავლიდან უწ. სინოდი იხდის ხაზინის სასარგებლოდ ყოველწლიურათ 142,422 მან. თუ ეს გადასახადი დგება იმ 5 პროც. გადასახადიდან, რომლებიც იკრიბება კუბონებიდან, მაშინ წლიური შემოსავალი ამ თანხიდან უდრის 2,848,890 მ. რომ მივიღოთ ასეთი პროცენტისანი შემოსავალი, აუცილებლად უნდა იყო შეპატრონე თანხის, რომელიც ას მილიონს უნდა უდრიდეს.

სინადინო (ადგილიდან) 50 — 60 მილიონს. **ჩხეიძე.** თუ ჩემი დებულებები სწორი არ არიან თქვენ შეძლება გაქვთ უარყოთ ისინი ამ ტრიბუნიდან. მაშ ასე, „ნუ ცდილობთ და ნუ ლაპარაკობთ, რა ვსვათ და რა გვაშოთ, რა ჩავიცვათ, იმიტომ რომ ამას ეძიებენ წარმართები, იმიტომ რომ მამამან ზეცისამან, იცის, რაშიდაც თქვენ გაქვთ საქიროება“. და აი სასოებენ რა ამ დახმარებაზე, მართლმადიდებელმა, მამებმა, მღვდლებმა, 1902 წ. შეაგროვეს 2,541,225 მ. იმავე წელს დაბადებულ 1,2700,510 მართლმადიდებულთაგან, თუ მივიღებთ ნათვლისათვის 50 კ. სასყიდელს, 9,709,096 მ. 3,243,302 მიცვალებულთაგან, თუ მივიღებთ 3 მ. დასამარხ ფასათ. 4,301,770 მ. 860,354 ქორწინებიდან. 5 მანეთ ჯვარსაწერიდან თითოზე. და აი, ბატონებო, ბაძვენ ღვთაებრივ მასწავლებლის მაგალითს: „ფრინველთი ცათასა, რომლებიც არც თვსვენ, არც მკიან და არც შეიკრებენ საქურქლესა.

ალექსევი (ადგილიდან) კმარა მასხრად ავღება. (ხმები მარჯვნივ): ეს მასხრად ავღებაა, შეწვევით; (ხმაურობა; თავმჯდომარე ზარს რეკს).

ჩხიძე. მართლმადიდებელმა სამღვდელოებამ იმავე 1902 წ. შეაგროვა ყულობებით და სხვა გზით (ხმები მარჯვნივ: ჩვენ ვავილოთ, თუ...) 6,247,692., მაშულებიდან შემოსავალი და გადასახადი 6,631 735 მ. (მარჯვნივ-ხმაურობა. მარცხნიდან ხმა: ეს ისეთი სიმარჯ თლეა, რომელიც თვალს იჩხვლიტება).

თავმჯდომარე. უმორჩილესათ ვთხოვთ ადგილებიდან ნუ ლაპარაკობთ.

ჩხეიძე. საეკლესიო-სამრევლო სამზრუნ-

ველოებისაგან იმავე წელს შეიკრიბა 4,876,457 მან.; სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოსათვის 10,453,858 მან., და სულ 28,099,742 მ. „სწეულთა კურნავდეთ, კეთროვანთა განწმედდეთ“. (ხმები მარჯვნივ: ეს ქირდვაა).

ალექსეივი. (ადგილიდან). გვაპატიეთ ჩვენი სიწმიდე, ჩვენ არავის არ შეუურაცხყოფთ. (ხმები მარჯვნივ: გააგდეთ აქედან).

თავმჯდომარე. სახელმწიფო სათათბიროს წევრო ჩხეიძე, გთხოვთ ნუ ხმარობთ სამღვთო წერილის სიტყვებს, როგორც საბუთებს და ნუ ამყარებთ ამ საბუთებზე დაუშტკიცებელ ბრალდებებს მთელი სამღვდელოების მიმართ (ხმები მარჯვნივ: გააგდეთ აქედან; თავს დაანებებთ, თუ არა, ქირდავს? მოიყვანოს ციფირები, მაგრამ ნუ მოყავს სამღვთო წერილის სიტყვები; ეს ქირდვაა).

ტომაშვილი (ადგილიდან) სახარება ჩვენი სარწმუნოებაა, თქვენ კი დაცინით.

ჩხეიძე. ყოველ შემთხვევაში მე გთხოვდით, რომ მოგესმინათ ჩემთვის.

თავმჯდომარე. სახელმწიფო სათათბიროს წევრო ჩხეიძე, გთხოვთ მიიღოთ ჩემი განმარტება და განაგრძოთ თქვენი სიტყვა.

ჩხეიძე. მე გთხოვდით, (ხმაურობა და ხმები მარჯვნივ: არ გვინდა, გაეთრიე; ხმები მარცხნივ: გთხოვთ! თავმჯდომარე ზარს რეკს). ბ.ბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრებო (ხმაურობა; ხმები მარჯვნივ: გაეთრიე, გაეთრიე; უნდა იცოდეს საზღვარი; ისმის თავმჯდომარის ზარი). თქვენ არ შეგშვენის ასეთი ლაპარაკი. (ხმები მარჯვნივ: თქვენ ყოველთვის დაგვცინით)... მე ბ. თავმჯდომარე მაძლევს შენიშვნას, რომელიც უნდა მივიღო სახეში, უკიდურეს შემთხვევაში ის წამართმევს სიტყვის თქმის უფლებას, და მე გთხოვდი ბ. თავმჯდომარეს, რომ სათათბიროს ყველა წევრება გაიგონონ. რომ ეს შენიშვნები მიბძანოს, (ძლიერი ხმაურობა; ხმები მარჯვნივ: გაეთრიე, კმარა. ხმაურობა მარჯვნივ. ხმა მარცხნივ: არ შეიძლება ალექსეივის ალაგმვა?)

თავმჯდომარე. სახელმწიფო სათათბიროს წევრო ჩხეიძე, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ ასწავლით თავმჯდომარეს, როგორ უნდა მოიქცეს,

გთხოვთ შეწყვიტოთ ხმაურობა მარჯვნივ. **ვიშნევსკი.** (ადგილიდან) აქ ადგილი არ არის სახარების განმარტებისა.

თავმჯდომარე. სათათბიროს წევრო ვიშნევსკი, გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ და თქვენ კი, სათათბიროს წევრო ჩხეიძე, გთხოვდით ზომიერი ტონი დაიჭიროთ და ნუ მიცემთ თქვენ თავს ისეთი აზრის გამოთქმის ნებას, რომლებზედაც მე თქვენ მიგიითითეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მე წაგართმევთ თქვენ სიტყვის თქმის უფლებას (ხმაურობა მარჯვნივ) უმორჩილესად გთხოვთ ნუ ხმაურობთ, გთხოვთ განაგრძოთ.

ზამისლოვსკი. (ადგილიდან) გაეთრიოს აქედან, რა უმსგავსობაა. (ხმები მარცხნივ: გთხოვთ, გთხოვთ).

თავმჯდომარე. მე უმორჩილესად გთხოვთ საშვალება მისცეთ სათათბიროს წევრს ჩხეიძეს დაათაოს თავისი სიტყვა (ხმები მარჯვნივ: აქ ადგილი არ არის სახარების განმარტებისა. ეს ქირდვაა).

ჩხეიძე. თქვენ გვეკირდავთ და არა ჩვენ.

თავმჯდომარე. სათათბიროს წევრო, ჩხეიძე, მე თქვენ მოგიწვევთ წესრიგი დაიცვათ და გთხოვთ კათედრიდან ნუ კამათობთ.

ზამისლოვსკი. (ადგილიდან). ეს უმსგავსობაა დაცინვაა.

თავმჯდომარე. გთხოვთ ადგილებიდან ნუ ხმაურობთ (ჩხეიძეს) გსურთ განაგრძოთ?

ჩხეიძე. ბ.ბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრებო, რამდენ ღროს ვანდომებთ... (ხმები მარჯვნივ: გაეთრიე). მე გთხოვთ მომიხმინოთ (ხმები მარჯვნივ: არ გვსურს)... სრულიად წყნარად და აუღელვებლივ. მაშ რაზე იხარჯება ის მილიონობით შემოსავალი, რომელსაც განაგებს სამღვდელოება (ხმაურობა მარჯვნივ). 1902 წელს ამ შემოსავლიდან მართლმადიდებელ სამღვდელოებას ქონდა სულ 248 საავადმყოფო 2,824 ავადმყოფისათვის ეს მთელი რუსეთზე, — და 1,027 თავშესაფარი 12,762 კაცისთვის; და აი ბ.ბ. როგორ სრულდება მცნება, რომელიც ამბობს: სწეულთა კურნავდეთ (ხმები მარჯვნივ: თავი დაანებეთ სახარებას. ხმაურობა.)

თავმჯდომარე. რადგანაც თქვენ არ ემორჩილებით ჩემ შენიშვნას, მე თქვენ გართმევთ სიტყვის თქმის ნებას.

ჩხეიძე. მე პროტესტს ვაცხადებ თქვენი

ძალადობის წინააღმდეგ (ხმაურობა მარჯვნივ, ტაში მარცხნივ).

თავმჯდომარე. სახელმწიფო სათათფიროს წევრი სკობსლევია—ნაკაზის დარღვევის შესახებ.

სკობსლევია. (გადმოლმა კავკასიის რუსთა დებუტატი). ბ.ბ. სახელმწიფო სათათფიროს წევრებო, ვინაიდან აქ დღეს, ჩვენი პატივცემული ორატორისთვის განსაკუთრებული ნაკაზი გამოიცა, და არსებული დღემის ნაკაზი არ არის წარმსოვებაში, ჩვენ ზედმეტათ მიგვაჩნია დღევანდელ სხდომებზე დასწრება.

თავმჯდომარე. სათათფიროს წევრი კერენსკი.

კერენსკი. (სარატოვის გუბ.) ბ.ბ. სახელმწიფო სათათფიროს წევრებო, ჩხეიძემ, რომელიც დღეს აქ ლაპარაკობდა, სთქვა ის, რაც უნდა ვთქვა სახელმწიფო სათათფიროს წინაშე. მას თავის სიტყვაში არაფერი ქირღვა და დამახინჯება ჩაუდენია. (ხმები მარჯვნივ: გაეთრიე, ხმაურობა მარჯვნივ) მას, რაც აქ მოხდა, ჩვენ ვთვლით დებუტატის სიტყვის თავისუფლების ძირითად დებულების დარღვევით. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვილაშქრებ და ვაცხადებთ, რომ ჩვენ ეხლავე გავდივართ და არ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა ბიუჯეტის შესახებ კამათში, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ სიმართლე. და არ იფიქროთ თქვენ, ამ მოხელეების მოსამსახურებო, რომლებიც აქ სხედან (ხმაურობა მარჯვნივ, არ ისმის). ჩვენ არასოდეს არ მიეცემთ (ხმაურობა მარჯვნივ, ტაში მარცხნივ, არ ისმის).

თავმჯდომარე. ბ.ბ. სახელმწიფო სათათფიროს წევრებო, პირველ ყოვლისა გთხოვთ დაწყნარდეთ და გაიგონოთ თავმჯდომარის სიტყვები. ის სახსარი, რომლითაც სათათფიროს წევრმა კერენსკიმ ისარგებლა ნაკაზის დარღვევის შესახებ და მასთან კიდევ ნება მისცა თავის თავს ურიგოთ მოეხსენებია სახელმწიფო სათათფირო, ყოველივე ამის ვთვლი უადგილოთ, ამიტომ წინადადებას ვიძლევი სათათფიროს წევრი კერენსკი დაეთხოვოთ სამი სხდომიდან. (ტაში ცენტრში და მარჯვნივ ხმები: ბრაგო).

თავმ. ვსვამ ხმის მისაცემათ, ჩემ მიერ წამოყენებულ ზომას სათათფიროს წევრის კერენსკის დასასჯელად... (ხმაურობა მარცხნივ; ხმები. რა თქვა მან, რისთვის... გთხოვთ გამოაშკარავოთ სტენოგრაფია)... მე გიმეორებთ თქვენ იმ სიტყვებს, (ხმაურობა მარცხნივ)... უმორჩილესათ გთხოვთ ნუ ხმაურობთ. მე თქვენ გიმე-

ორებთ სიტყვებს, რომლებიც მე გავიგონე, რომ სათათფიროს წევრს კათედრიდან, არ აქვს ნება უდიერად მოიხსენიოს სათათფიროში მყოფი წევრები თავისი ამხანაგები, და უწოდოს მათ უწყების და მოხელეების მოსამსახურე (ტაში ცენტრში და მარჯვნივ. შეუდგეთ ხმის შეკრებას...) (ხმაურობა მარცხნივ). უმორჩილესად გთხოვთ ნუ ხმაურობთ, ან არა და მე მიემართავ იმავე ზომას, რომლებიც ხმაურობენ, იმათი წინააღმდეგაც (ტაში ცენტრში და მარჯვნივ; ხმაურობა მარცხნივ; თავმჯდომარეს ზარი) წინადადებას ვიძლევი, სათათფიროს წევრი კერენსკი, შემდეგი სიტყვებისათვის უწყების მოსამსახურენი“ დაეთხოვოთ სამი სხდომიდან.

სათათფიროს წევრი კერენსკი ირიცხება სამი სხდომიდან ხმის უმეტესობით 168 ხმით 79 წინააღმდეგ.

კერენსკი (სარატოვის გუბ.) ბ. მე ყოველთვის ვემორჩილები თავმჯდომარის განკარგულებას და რაც შემეხება მე პირადათ, სრულიად დამშვიდებით ვიღებ ამ სასჯელს, მაგრამ ერთხელ კიდევ ვაცხადებ, რომ ის ზომები, რომლებითაც არ უნდათ მოგვეცნ საშვალემა აქ ხალხის წარმომადგენლებმა გამოთქვან თავისი აზრი, ვერ მიადწევნ ვერასოდეს თავის მიზანს. ჩვენ შავილემთ ვთქვათ, რაც გვინდა (ტაში მარცხნივ, ხმაურობა და სტვენა მარჯვნივ, თავმჯდომარის ზარი).

დზიუბინსკი (ტაბოლის გუბერ.) ნაკაზით და კანონითაც ჩვენ მონიჭებული გვაქვს უფლება თავისუფლად გამოვთქვათ ჩვენი აზრები და მოვისმინოთ გულდამშვიდებით ის, რასაც ამბობენ. მეორე დებულება: მისთვის, რომ სათათფიროს წევრი დაეთხოვოთ სხდომიდან აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ, რას ლაპარაკობდა ის, და ამიტომ, რომ შევწებულად მიეცეთ ხმა ან მისი დათხოვნის ან არ დათხოვნის წინააღმდეგ, უპირველესად ყოვლისა უნდა გამოცხადებულ იქნას უმეტ ნაკლებოდ მისი სიტყვები, მე მიემართებ ბ. თავმჯდომარეს თხოვნით წაეკითხა სახელმწიფო სათათფიროს წევრის კერენსკის სტენოგრაფია.

რომ საშუალება გვქონოდა გვეცოდნოდა; რა საწინააღმდეგო სიტყვებია ის სიტყვები, რომლის გულისათვის მიმართეს ასეთ შიშვე დასჯის გზას, — როგორც სხდომებიდან დათხოვა არის. — ეს არ შეგვისრულოს. შემდეგ არა თუ გამოაცხადეს და ამცნეს სათათფიროს თუ რისთვის იქმნა გამორიცხული, არამედ მეც არ დამიშვეს რომ ტრიბუნებიდან შეცნობებია ყოველივე ეს. ვინაიდან სათათფიროს უმრავლესობის მხრივ აშკარა ძალადობაა უმცირესობაზე, ვინაიდან, ასეთ მდგომარეობაში ჩვენთვის შეუძლებელია თავისუფალი გამოხატვა საკუთარი აზრებისა, თავისუფლად სიტყვის წარმოთქმა, მარჯვენა ნაწილს სათათფიროსას კი თავისი ხმაურობით და ყვირილით უნდა დაგვიცოს პირი, არ უნდა გამოეთქვათ ის, რასაც ესა თუ ის ოპოზიციის წევრი ფიქრობს, სურს გამოსთქვას, როგორც ამ შემთხვევაში, თავის დამოკიდებულება უწ. სინოდის ბიუჯეტთან, მასთან დაკავშირებულ გასაქვალთან ქვეყნის უსარგებლო ხარჯის შესახებ. ამიტომ მშრომელთა ჯგუფმა დაადგინა დასტოვოს დღევანდელი სხდომა ნიშნად პროტესტისა წინააღმდეგ ძალმომრეობისა (მარჯვნივ ხმაურობა, ხმები: მშვენიერი აზრია, კარგია; თავმჯდომარის ზარი). მე ვიცი, ბატონებო, რომ თქვენ ყოველთვის მოხარული ბრძანდებით, როცა მშრომელი ხალხის და გლეხობის წარმომადგენელი გადის და არ გიშლიან თქვენი ბნელი საქმეების კეთებას (ტაში მარცხნივ).

ჩვენი ეროვნების მოამბე ინტელიგენცია და სარწმუნოება.

იტყვიან — „ერთი პირი მარგებელიაო“, ჩვენში ზოგიერთების მიმართულებამ და ქართველი ეროვნების აბუჩათ აგდება — ერთი მხრით სარგებლობა მოიტანა.

ეროვნების აბუჩათ აგდების და აგრეთვე, სილოვანის სიტყვით, „შინაური მტრების“ საბასუხოთ და ქართველი ერის საგულისხმოთ, — იმდენი დაიწერა ქართულ პრესაში ქართველი ერის მოამბე ინტელიგენციისაგან, რომ დღეს ყველა ანა-ბანას მკოდნეც თვალსაჩინოთ ხედავს და აფასებს ყველაფერ ეროვნულს, მხოლოდ ამ დაფასებაში აკლიათ რაღაცა — აკლიათ ზნეობრიობა და ეს ნაკლი — კი მთელ მასში გადის.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ამ ჩვენმა ერის მოქირახულე ინტელიგენციამ ერის რომელ ასალორძინებელ დარგზე არ გინდათ რომ არ დაწერა, ან — ერის, რომელ საზარალო ნაკლზე არ აჩვენა. ეროვნული ენა, შკოლა, თეატრი, ბანკი, გუთანი, ტყე-ველი და ტერიტორია, ეროვნული ნაშთი და ეროვნული განძი, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რასაც კი ეროვნული ელფერი იტყვია. მხოლოდ არ ამოიღეს ხმა ქართველი ერის ზნეობის მატარებელ უსაქიროვს დარგზე — ქრისტეს სარწმუნოებაზე, ურომლისოთ ქართველ ერს, თუნდა ყველაფერიც, რომ მისცე, იგივე იქნება, რაც უსუსური ბავშვისთვის ერთი ბედელი ოქრო, რადგან ქართველი ერის ზნეობის საფუძველი ქრისტეს სარწმუნოებაა და, თუ არა ქრისტეს სარწმუნებრივ საფუძველზე, ზნეობით ქართველი ვერ ამალდდება და უზნეოთათვის კი ყველაფერი ამაოა, როგორც ზემოთა ვსთქვით. ჩვენი ერის მოამბე ინტელიგენცია კრისტს არ ძრავს ქართველი ერის ამ ზნეობის საფუძველზე, ქრისტეს სარწმუნოებაზე და თუ სადმე წამოცდა რამე ან დაწერა, იქაც უკან-უკან იხედება, რეტროგრადობა არ შეგვწამონო.

დიდებული მოღვაწე ქართველი და იმავე დროს ქრისტეს სარწმუნოების არ დამცველი 4 საუკუნეთ ქართველმა მატინამ არ იცის. ქართველი ერის მოღვაწისთვის, ეროვნება და სარწმუნოება — განუყრელი მცნება იყო და ვერც ნახავთ ჩვენ ისტორიაში რომელიმე მოღვაწე ქართველს, რომ იგივე მტკიცეთ ქრისტეს სარწმუნოების დამცველი არ ყოფილიყო. და განათანამედროვე კაცობრიობის კულტურა — ცივილიზაციის შეურყვეველი საფუძველი ქრისტეს სარწმუნოება არაა? განსაკუთრებით ქართველთა ერისთვის, განა ზოგიერთი ოქროს საუკუნოები (მაგ. 11—12) მტკიცე სარწმუნოებრივ საფუძველზე არ იყო აგებული, განა იგი არ იყო საზოგადოთ შემაერთებელი და მამოძრავებელი ძალა და მით არ დამყარდა საქართველოში ხიძლინრე პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიური, ტერიტორიალური, ხელოვნური, მეცნიერული, ფილოსოფიური და სხვა?

ქრისტეს სჯული ქართველთა თვის, ი. ჰავჭავაძის სიტყვით, მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი მასთან პოლიტიკური ქვეტიკური იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლათ და შემოსაკრებათ. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოსწავებდა, სხვათა შორის ქართველი ერი მისთვის უფრო თხილდებოდა თავის სჯულს, რომ თავის ზინაგან ღირსებას გარდა დულაბობას უწევდა ქართველი ერის ერთობას და სიძლიერეს. და აი სწორეთ ჩვენი ერის მოამაგე წინაპრების სიმბოლოც ქრისტეს სარწმუნოება იყო.

ჩვენი წინაპრების ასეთი ქრისტეს სარწმუნოებრივ ზნეობრივ მტკიცე ნიადაგზე მყოფობის ნაყოფია დღეს კიდევ ჩვენი ენის არსებობა, ძველი მწერლობა, საეკლესიო ლიტურატურა, რელიგიური ხუროთ — მოძღვრებითი ნაშთები — ტაძრებ-მონასტრები და განძები, რომლებიც დღეს მხოლოდ ეროვნულ განძათ მიანია ჩვენი ერის თანამედროვე მოამაგე ინტელიგენციას და სარწმუნოება კი არაფრათ.

ჩვენი ეროვნული შენობის გამამაგრებელი ბოძი ქრის. სარწმუნოებაა და თუ სარწმუნოება დაეკარგეთ აუცილებლათ მოვისპობით ერთმანეთს დაფსქამთ და გაეპირუტყვდებით“ (ეპ. ლ.) აი ამ ეროვნულ შენობის ბოძ-სარწმუნოებაზე ხმას არ იღებს ჩვენი ერის მესვეური ინტელიგენცია და თუ აქა-იქ სარწმუნობის ანარეკლ, სარწმუნოების გამო შექმნილ ნაშთ ტაძრებ-მონასტრებზე დაწერეს რამე, აქაც იმიტომ კი არა, რომ სარწმუნოება გაუღვიოს ერს და ხიდათ გაუღვას იგი წასრულიდან აწმყო და მომავალ თაობას, არამედ იმიტომ, რომ ვითომ ივინი გვაჯავშირებენ ძველ დროთა ქართველ საზოგადოებასთან. თითქო უსარწმუნოებოთ იყვნენ ჩვენი ირის მეთაურნი წინაპრები ძლიერნი და დიდებულნი, თითქო უამისოთ შექმნეს ეს დიდებული ნაშთები ჩვენმა წინაპრებმა. თითქო დღეს ჩვენი ერის ზნეობისთვის, ჩვენი ერის აღორძინებისთვის საჭირო აღარ იყოს სარწმუნოება ქრისტესი. განა ამოუღია ხმა ჩვენ ინტელიგენციას ქართველი ერის განსაცდელზე სარწმუნოების მხრივ? ან სა-

რწმუნოების ხელმძღვანელ სამღვდელოების ასეთ, თუ ისეთ, მოვალეობის გათვალწინებაზე? სრულიადაც არა! თუნდ ამ 3—4 წასულ წლებში სამღვდელო პირის არჩევნების წესი რომ ბოროტათ არ მოეხმაროს ხალხს და რომ უვარგისი სამღვდელო პირით არ ავსებულ იყოს ჩვენი სოფლები, სადაც ასე საჭიროა კარგი სამღვდელოება, როგორც ეროვნული ზნე-ჩვეულების ხასიათის და კულტურის დამცველ და წინამძღოლი. სარწმუნოების განვითარება, თვით სარწმუნოების ზინაგან ღირსებას გარდა მამა პაპათაგან ნაანდერძევი ნაშთების და ჩვენი ენის დამცველიცაა, რომლებიც სარწმუნოების დაქვეითეცვებით განსაცდელში არიან დღეს.

საკვირველი ის არის, რომ ჩვენი ეროვნების მოტრფიალე ინტელიგენციის ნაწიერებში იმის მსგავსაც ვერ ნახათ, რასაც მარქსისტულ ორგანო „კვალში“ (1894 წ. № 34). „ნებსით თუ უნებლიეთ, სწერს „კვალი“, ჩვენ დღეს საქართველოში გვეპირება მხოლოდ ქართულ ღვთის მეტყველებაზე და ფილოსოფიაზე გაბრძნობილი მოძღვარი, ჩვენი ძველის ქრისტეანობის და სღმრთო მწიგნობრობის აღსადგენათ... როგორ არ უნდა იყოს სამღვდელოება საქმეში ჩარეული, რომ ანდრია მოც. და წ. ნინოს მიერ რწმუნებული სამწყსო ხელიდან არ გამოგვეცალოს“.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ეროვნული ორგანოები ცარიელია ერის სარწმუნოებრივი აზრებით და უამისოთ ლამობენ საქართველოს აყვავებას. პირიქით, ერთ ქართველ ერის დიდათ მოამაგე ცნობილ პუბლიცისტის ნაწერში ვიკთხულობთ „რელიგია ჩემთვის თეორიაა და არა სულიერი მოთხოვნები“, გავიმტორებ, რომ ქართველი ერის მოღვაწე სარწმუნოებას გვერდს ვერ აუვლის, თუ ის ქეშმარიტი მოღვაწეა; აგრეთვე ქართველმა კაცმა თუ ქრისტეს სარწმუნოება დაკარგა ის, ქართველი აღარ არის. ამის ცოცხალ მაგალითს ვიკთხულობთ ვაზ. „კოლხიდაში“: „აქარის დედა ენა არის ქართული ენა, რომელსაც ნიადაგ ხმარობს ხალხი. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ასში ერთი აქარელი შეიძლება დაგთანხმდეს, რომ ის ეკუთვნის

ქართველ ერს; — ტომით ქართველი სჯულით მუსულმანი, სიძულვილით მოგვიგებს, რომელიმე ოსმანი აბაშიძე ან ყედეში ლოთქიფანიძე: ქართველი შენ ხარ, თორემ მე თაჯარი ვარო“. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ქართველს თუ ქრისტ. სარწმუნოებრივი ნიადაგი გამოეცალა. ის ქართველი აღარ არის. ამიტომ ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ უნდა ქეშმარიტი მოღვაწეობა გაუწიოს ქართველ ერს და თუ ჩვენ მამა პაპათაგან ნაანდერძევი რამ სწამთ, — პირველათ სარწმუნობა უნდა დაიცვან, რადგან იგია უმთავრესი ანდერძი და იმის დაცვით თავისთავათ დასული იქნება ქართველობა, მისი ენა და განძ-ნაშთებიც, რომლებიც სარწმუნოების ბეჭედს ატარებენ.

ყველა ქართველი ეროვნული მოღვაწე და ენის დამცველი უპირველესათ სარწმუნოებაზე უნდა ზრუნავდეს; ვინც ჩვენ ეროვნულ სახეს ატარებს, საფუძვლათ სარწმუნოება უნდა ედევას და საშენათ ენა. დაწესებულებაა, თუ სამართველო ამ მიმართულებისკენ უნდა იყოს მიქცეული, ამისკენ უნდა უთითებდენ ეროვნული ორგანოებიც მკითხველ საზოგადოებას.)

იაკინთე ნიკორწმიდელი.

ყოველ-კვირეული ჰროგინციელისა.

საკითხი ათონის ივერიის მონასტრისა იმდენად მომწიფებულია, რომ მას აქცევენ ყურადღებას შეგნებული რუსებიც კი და სკდილობენ წაექომაგონ დაჩაგრულს ივერიის ისტორიულ დიდებას. ამაზე ვრცლად მოგვითხრობს პროფესორი ვ. ზაეიტნევიჩი ჟურნალ „Церковно - общественный Вѣстник“-ში, 1913 წ. № 16. ეს პატივცემული პროფესორი 1906 წელს მხარს უჭერდა აგრეთვე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის საკითხს კრების წინასწარ საკრებულოს მეორე განყოფილებაში. მოგვყავს მისი სიტყვები:

„ბალკანეთის ომი თითქმის დასრულდა და აწჯერი მიღვა ოსმალეთის შემკვიდრეობის გაყოფაზე ანუ ბალკანეთის ნახევარ კუნძულის პოლიტიკურ რუკის შემუშავებაზე! ყველა სახელმწიფონი, რომელნიც ასე თუ ისე, დაინტერესე-

ბულნი არიან ამ საკითხით, უკვე კაი ხანია სკდილობენ მოტყუილებულნი არ დარჩენ. მაგრამ ბალკანეთის კუნძულზეა ერთი კუნძული, რომლის ბედ-იღბალი არც ერთს სახელმწიფოს აინუნში არ მოსდის და რომელსაც, მიუხედავად ამისა, პირველი ალაგი უჭირავს მართლ-მადიდებელ აღმოსავლეთის შეგნების საქმეში, რომლის ბედ-იღბლის გადაჭრაზე უსათუოდ უნდა დაუფიქრდეს ყველა ოსმალეთის საფლობლოს ლიკვიდაციის დროს ევროპაში. ჩვენ ვამბობთ ხალკიდონის ნახევარ კუნძულზე, ანუ ათონზე.

ათონი ნამდვილი ბერების სამეფოა. იგი სიგძით იქნება 80 და სიგანით კი 20 ვერსი; ამ სიერცხეზე მდებარეობს მარტო დიდი ეგრედწოდებული სამეფო მონასტერი 20, გარდა აუარებელის წვრილ-წვრილი სკიტებისა და სავანეებისა. მართლ-მადიდებელ აღმოსავლეთის ყველა ერებს, დიდსა და პატარას, აქვსთ თვისთვისი საბერო სავანეები, რომელთაც თავს ევლებიან ისე, როგორც სიწმინდეს. ჩვენ ამ ეამდ გვინდოდა გვეთქვა მხოლოდ ერთ-ერთ ათონის სავანის შესახებ, სახელდობრ ივერიისაზე. მეცნიერულ-ისტორიული მხრით ეს სავანე შესანიშნავია. 1910 წ. ტფილისს თ. პ. ი. თუმანიშვილმა გამოსცა ა. ნატროშვილის თხზულება: „Иверскій монастырь на Аѳонѣ... Историко-Археологическая справка по вопросу о спорѣ грузинъ съ греками на право владѣнія имѣніями означеннаго монастыря“ და 1913 წ. კი იმავე პირთაგან გამოცა კიდევ „Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ — Халкидонскомъ полуостровѣ. Историко-Археологическая справка“. ამ გამოცემების მიზანია ყურადღება მიაქციოს რუსის მთავრობამ და საზოგადოებამ იმ ძალმომრეობას, რომელსაც იჩენენ ამ წმინდა მთაზე ბერძნის მძარცველები რუსის ქვეშევრდომ ქართველებზე.

ამ საკითხს რუსის საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. ვისაც სურს დაწვლილებით ვაეცნოს ბ. ნატროშვილის დასაბუთებულს შრომას შეუძლია წაიკითხოს იგი, ჩვენ კი აქ რამდენიმე სიტყვით შევხებით საქმეს არსებითად.

ივერიის მონასტერი დაარსდა ქართველებისაგან ათონში X საუკუნის მცორე ნახევარში (980 წ.) შემდეგ განსაკუთრებულის ვარემოებში. ბიზანტიის იმპერატორს მკირე

წლოვან ბასილ მეორეს ბულგარელების მეო-
მარს კიევის მთავარ ელადიმერ წმიდის ცოლის
ძმას, წინააღმდეგ იმპერატორის იოანე ციმის-
ხის ნათესავი, ბარდა სკლიროსი. ქართველთა
შეფე დაეითმა გაუგზავნა იმპერატორს ბასილს
მაშველი ჯარი ათონის ბერის თორნიკეს მეთა-
ურობით. აი ამ ბერ-გენერალმა, დაამარცხა
მეამბოხე სკლიროსი და ათონს დაბრუნების
შემდეგ, ზოგი ომიდან ნადავლით და ზოგი
ბიზანტიელ და ქართველ შეფეებისაგან დასა-
ჩუქრებული ქონებით, ქართველ იოანე ივერ-
თან ერთად ჩაუდგა საფუძველი ივერიის მონა-
სტერს იქ. თუმცა სხვადასხვა გარემოებაში
მოხდა ივერიის მონასტრის დაარსება, მაგრამ
იგი თანდათან გადაიქცა ქართველთა საბერო
ახალ-შენად ათონში, და ჩქარა შეიქნა არამცთუ
დიდ რელიგიოზურ, არამედ კულტურულ გან-
მანათლებელ ქართულ ცენტრადაც. მიუხედავად
სხვადასხვა პოლიტიკური აურ-ზაური და მოუ-
სვენრობისა, რომელთაც განიცდიდნ ქართვე-
ლები შინ, უნებურად მის ყურადღებას იქცე-
და ათონი, სადაც წყნარს ბერულს სავანეში უფრო
თავისუფლად ზეწარმატებით იფუჩქნებოდა ქარ-
თული სასულიერო კულტურის ყვაილები. აქ
ითარგმნებოდა ქართულად საღვთოწერილის
და საეკლესიო წიგნები, აქვე მზადდებოდა ეკ-
ლესიის მამათა და მოძღვართა ქმნილებანი, აქვე
იდგამდა ფესვს ორიგინალური ქართული მწერ-
ლობა, მუშავდებოდა ქართული ენა, ვითარ-
დებოდა ქართული არქიტექტურა და სარწმუ-
ნოებრივი მხატვრობა. მაგრამ ყველაზე უფრო
საპატიო აი რა იყო: აქ დაარსდა უმაღლესი
საღვთის-მეტყველო სკოლა, რომლიდანაც გა-
მოდიოდნ ქართველი ახალგაზდანი, შემდეგ
მოღვაწენი სასულიერო განათლების სხვადასხვა
ასპარეზებზე.

ყველა მოხსენებულ მოქმედებისა გამო და
უფრო კი ბერების დიდებულ მოღვაწეობაში
ივერიის სავანემ შორს გაითქვა სახელი, იქ მი-
დიოდნ აუარებელი მწირნი მარტო საქართვე-
ლოდან კი არა, არამედ სხვადასხვა ქვეყნები-
დან, ამისთანავე მონასტერი გამდიდრდა კეთილ-
მსახურ ადამიანების შემოწირულებით, უხვი
ქონება, უფრო კი მიწა, ეწირებოდა. ამ შეწი-
რულებას მოყვა ტაძრების აშენება, რომელთა
შორის ბრწყინავდა საკრებულო ტაძარი
ღვთისმშობლის მიძინებისა, შიგნი და გარეთ
ძვირფასად შემკული. ყველა ეს სიუხვე მონა-
სტერს უმტკიცდებოდა შეფეების ჩვეულებრივ
სიკვლევით, რომლებშიც მკაფიოდ იყო ის აზ-

რი გატარებული რომ „მამული შეეწირა ქარ-
თველ მონასტერს საბერძნეთში“.

მაგრამ იმ დროს, როდესაც ქართველე-
ბი შეგროვილ სიმდიდრეს ისე უყურებდნ,
როგორც სავანის გასამშვენიერებელს და თვის
სამშობლოს კულტურულად განვითარების სა-
შვალეებას, იმავე მონასტერში თავი იჩინეს სტუმ-
რებმა, რომელთაც მას სხვანაირად შეხედეს.
ეს სტუმრები გახლდათ ბერძნები. ძველადვე
რუსეთის ცხოვრების აღწერის დროს აღნიშნუ-
ლი იყო ბერძნების ცბიერება (Льстецъ) და ამის
გამო (რუსეთი) აღრვეე განზე გაუდგა ამ საშიშარ
მოძღვრებას. გულუბრყვილო ქართველებმა კი
ვერ შენიშნეს ასეთი თვისება მათი განმანათლებ-
ლებისა და ასეთმა შორსგანუქვრეტელობამ
ჩქარა მოიტანა ნაყოფი. 30 წლის განმავლო-
ბაში დღიდან ივერიის მონასტრის დაარსებისა
იქ ბერძნები არა ყოფილან. ილუმენ გიორგი
ვარასვაჩეს დროს ამ ინტრიგანებმა ისე მოაწ-
ყვეს საქმე, რომ თვისი კეთილისმყოფელი გი-
ორგი გააძვეეს იქილამ, ბევრი მამული წაარ-
თვეს მონასტერს და დევნილი ქართველები
დღითი დღე მოელოდნ იქაურობიდან გამო-
თხოვებას. ასეთი გამწვავებული მდგომარეო-
ბიდან ქართველი ბერები გამოიყვანა ქართველ-
მა შეფემ ბაგრატ მეოთხემ, რომელმაც თავისი
პირადი გავლენით იმპერატორ მიხეილ მე-
ოთხე პალეოლოგზე გაასამართლა ქართველე-
ბი და მიანიჭა დაკარგული უფლება. როდესაც
ბერძნებმა ნებით ველარაფერი იშოვეს, მერმე
მოინდომეს ძალით უფლების ხელში ჩაგდება:
გადაიყვანეს თვის მხარეზე მოსყიდული მოხე-
ლეები და ძალადობით ჩაივდეს ხელში საკრე-
ბულო ეკლესია, რომელიც თვისი დიდებუ-
ლი მორთულობით ხიბლავდა მათ. მაგრამ აქაც
ბედმა უმტკუნა მათ. ამ დროს მოსამართლეთ
გამოვიდა თვითონ იმპერატორი მიხეილ მეხუ-
თე, რომელმაც ცალკე სიკვლით კვლავ ქარ-
თველების სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე.
უკანასკნელმა აურ-ზაურმა ისე გააფრთხილა
ქართველები, რომ გადასწყვიტეს არამც და
არამც არც მიჰყიდონ, არც გადასცენ ბერძნებს
მიწები და მამულები მთაწმინდაში და მის გა-
რემოში.

ასე იყო მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისამდე. ამ დროს ათონის შთას თავს უბედურება დაატყდა, უცხოელებმა გაძარცვეს იგი და ქართველთ-ბერების რიცხვი ისე დააუძღურეს, რომ ივერიის მონასტერში კვლავ მიიღეს ბერძნები. საკმაო იყო, რომ ამ წურბელების ერთი მიკრობი მოხვედრილიყო საეანეში, მაშინ იგი ხელად მთელ ახალ-შენად გადაიქცეოდა და ბერძნები იწყებდნენ ჩვეულებრივ ძარცვა-გლეჯას. არ გაუვლია ნახევარ საუკუნეს, რომ გაძლიერებულმა ბერძნებმა კიდევ ძალით ჩაიგდეს ხელში საკრებულო ეკლესია და იმდენს ცვაღენ, რომ კონსტანტინეპოლელ პატრიარქიდან მოიპოვეს სიგელი, რომლის ძალითაც მონასტრის მეურნოსებთა ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ, რა მოსაზრებით კი კაცმა არ იცის.

მაგრამ მათ მძარცველურ აღლოსაც, საქართველოს შემწეობით, ბოლო მოეღო და ძველებურად მონასტრის პატრონებად ისევ ქართველები შეიქნენ. ივერიის მონასტერს, როგორც მაშინ ისე მას შემდეგ, დიდი ხნობით მფარველობას უწევდნენ ქართველნი მეფენი, რომელთაც თვისი ქომაგობით, როგორც ბიზანტიელ იმპერატორებთან, ისე ოსმალეთის მთავრობასთან მრავალ საუკუნოებით შენაძენი ისტორიული უფლება შეუნარჩუნეს მას. ქართველებიც მართლაც XIX საუკუნემდე ფლობდნენ მონასტერს, ე. ი. თვისის ნებით საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, 1801 წლამდე. მაგრამ ამას შემდეგ რვა საუკუნის ფლობელობა ქართველებს ხელიდან გამოეცალა და ივერიის მონასტერი ქართველების ნაწილ-გულევი ხელში ჩაუვარდა ბერძნებს, რომლებიც ისე მაგრათ ჩაებლაუჭენ ამ ნატაცებ საუნჯეს, რომ ამ ქამად შეუძლებელი ხდება მათი ხელიდან მისი გამოგლეჯა. მაინც რა მოხდა ასეთი იმ დროს, რატომ დაეცა ასეთი მეხი ამ საეანეს? ეს მისი ბედის წერა ასე შეიძლება დასურათხატდეს: პოლიტიკური თვითარსებობის დაკარგვისა და რუსეთის სამფლობელოში გადასვლისათანავე საქართველოს მონასტერი სამშობლო დედის კალთიდან დედინაცულის მზრუნველობაში გადავიდა, ეს დედინაცვალი, თუმცა ისეთი ბოროტი არ იყო, მაგრამ მაინც დედინაცვალი იყო. ქართველნი მეფენი, რომელნიც გულმტკენწეულობას იჩენდნენ ათონისადმი, ამ ქამად აღარ იყვნენ, და რუსის დიპლომატებს არც სცხელოდათ და არც სცივოდათ იმისგამო თუ ვის ეკუთვნოდა ივერიის საეა-

ნე. ამ რუსის დიპლომატიის გულცილობით ისარგებლეს ბერძნებმა თვისი დიდი ხნის ნააზრევის განსახორციელებლად. იმათ თავდაპირველად სიმახვილით სხვებს გადააქარბეს მონასტრის გამგეობა ხელთ იგდეს და მოახდინეს დიდი რეფორმა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სენაკური (КИНОВИАЛЬНОЕ) გამგეობა შტატათ შესცვალეს. საეანის გამგეობს ანდობდნენ ორს ანუ სამს აღრჩეულს ეპიტროპებს, რომელნიც თავის ნებაზე ყოველივე საქმეებს თვითონ განაგებდნენ და დანარჩენ ქმებს არავითარ მონაწილეობას არ ალებინებდნენ. ამ მხრით შეავიწროეს ჯერ ქართველები გამგეობაში და მერმე ამ არა მკითხე ბატონებმა ჩაიგდეს ხელში საკრებულო ტაძარი და ცოტა ხნის შემდეგ (1834 წ.) სრულიად გააძევეს მონასტრიდან ქართველები და დაუტოვეს მხოლოდ მეზობელი სენაკი წინასწარმეტყველის ილიასი და ნაწილი აუარებელი ქონებიდან. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა, რომ ეს არ იკმარეს მათ: 1866 წელს დაადგინეს სრულიად გაეთიშათ და აღარ მიეღოთ მონასტერში ქართველები. ეს დადგენილება თუმცა ამ ქამად ძალაშია კიდევ, მაგრამ ქართველები მაინც იმდეს არ ჰკარგავენ, რომ ძალ-მომრეობით წართმეული მონასტერი უკანვე დაუბრუნდებათ.

ძვირფას საეანედან გაძევებული ქართველები ჭეიქრობდნენ იმის ახლო დამყარებულიყვნენ. ამ აზრის განხორციელება იკისრა სამეგრელოს აზნაურმა ვახტა ბარკალიამ, ბერობაში ბენედიქტემ. ბენედიქტე დიდი ენერჯის და მაღალი იდეალის მქონე ბერია; თვის თანამემამულეთა შემწეობით იძენს შეათე საუკუნეში აგებულ ღირსი მამების თორნიკე და იოანე ივერისაგინ პატარა საეანეს ერთი ნაკვეთი მიწით და გადასწყვიტა აღადგინოს აქ ახალ-ივერიის იოანე ღვთისმეტყველის საეანე. თუმცა ბერძნები თვისი განწმენილებული უსირცხვილობით ხელს უშლიდნენ ამ მოსაზრების სისრულეში მოყვანას, მაგრამ რუსის პანტიკლეიმონის მონასტრის დახმარებით ასე იყო თუ ისე მიზანი განხორციელდა მაინც. როდესაც ახალ ივერიის გაშენებას ველარ შეუშალეს ხელი ბერძნებმა, მერმე მოინდომეს ქართველები არ გაექაქანებიათ იქა. ამ დროს ჰეტერობურგიც დაეხმარა ქართველებს. დიდი ვეზირის მოხსენებისამებრ ებრძანა ათონის კაიმაქანს გაეცხადებია ბერძნებისათვის, რომ უკეთუ იგინი არ მოუსვენებენ ქართველებს ათონში, მაშინ მთავრობა იძულებული გახდე-

ბა. ვაგზაუნოს იქ ერთი ბატალიონი წესიერების დასამყარებლად და პადიშახების თირმანების აღსადგენელად, რომლებშიაც (ფიომანები) ენიჭებოდა თავისუფლება ყველა ბერებს და არა მარტო ბერძენებისას.

რასაკვირველია ახალ ივერიის საფანე ქართველებსაგან ცალი თვალით სამხერია, სანამ არ გადასწყდება საკითხი ქართველების უფლების შესახებ ივერიის საფანეზე. ამ შემთხვევაში თვის იმედებს ქართველები, როგორც რუსეთის ქვეშევრდომნი, ამყარებენ რუსეთის მართებლობაზე, რომლის წინაშე ისინი დაუცხრომელათ შუამდგომლობენ წასული საუკუნის მე-60 წლებიდან მოკიდებული. ჩვენ არ შევჩერდებით ამ ჩვენი დიპლომატიის ისტორიის საფალალო კაბადონზე. მოვიგონებთ მხოლოდ იმას, რომ ასეთს ერთ ერთს შუამდგომლობაზე იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ თვისი საკუთარის ჯიბიდან შესწირა 15.000 მანეთი ქართველ ბერებს წმ. იოანე ღვთისმეტყველი საფანის კელიის დასამთავრებლად და განკარგულება მოახდინა მშობის საჭიროებისათვის ყოველ წლივ 3000 მ. გადადებულიყო „სანამ ქართველების და ივერიის მონასტრის ბერძენთა მშობის უფლებანი არ გათანასწორდებიან და სხვა ყოველგვარს განკარგულებამდე“. აქედან სჩანს, რომ მეფე დაჯერებულია ოდესმე ქართველების უფლება ამ საფანეზე ბერძენების უფლებებთან გათანასწორდებიან. ამ რწმენის განხორციელება ვალად ედება რუსის დიპლომატიას, რომელიც არასოდეს არ უნდა იფიქრებდეს, რომ ქართველები რუსეთის ქვეშევრდომნი არიან, რომ მათი ინტერესი რუსის ერის ინტერესია. დიპლომატებს თვისი გზები, თვისი აზრები აქვსთ, რომელთა მეოხებითაც ისინი ჩვეულნი არიან თავიანთ მიზნების განხორციელებასა. თუმცა საზოგადოება არ ჩაერგვა ყველაფრამდე ამ საქმეში, მაგრამ უფლებმა კი აქვს ისურვოს, რომ ყოველივე საქმეში, მისი არსებითი მხარე მსხვერპლიად არ დაედოს უბრალო ფორმას. საქმის არსებითი მხარე კი ცხადია. ათონის ივერიის მონასტერი ნაყოფი ქართველი ერის მხურვალე სიყვარულისა, აუარებელი დეაწლიისა და უთვალავი მსხვერპლისა, ქართულ კულტურ ასისტორიაში კი მნიშვნელება მისი უსათუოდ ფას დაუდებელია. ყოველივე ამანებისა გამო განათლებულის ქართველის თვალში უდიდეს სიწმინდეს შეადგენს ივრ. რად მიიღტვის ბერძენი ამ საფანეში გაეცანით დაკვირვებით

ამ საკითხს თუნდაც ბ. ნატროშვილის „Памятная записка“-დან და თქვენ დაინახავთ, რომ ერთად ერთი საფანი, რომელიც ბერძენს ამ მონასტრისკენ იწვევს არის მისი მილიონის ქონება. წაართვით ქონება მას და თქვენ ვერც ერთ ბერძენს ველარ დაინახავთ იქ. ეს თუ ასეა, მაშინ რაღა სადავოა ის თუ, ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს მონასტერი. რასაკვირველია არა იმას, ვინც მძარცველი ხელი შეახო მას და აღლო აილო ოქროსი, არამედ მას, ვინც იქ ჩასტოვა თვისი სიყვარული, ვინც მასთან შეერთებულია და განაგრძობს მასთან იდეალურ კავშირს, თვისს უმაღლესს სულიერს მოლოდინს“...

ამ საფანეზე ამ სტრიქონების დამწერმა ოფიციალური ქალაღი მიართვა ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსს ვიორგის, რომ საკითხი ივერიის მონასტრის ბედ-იღბლის შესახებ დასმულიყო და გარჩეულიყო უკანასკნელ იმერეთის სამღვდლოების კრებაზე, მაგრამ მათმა მეუფებამ ბრძანა ეს საქმე აშეამდ წარმოებაშია სადაც აღგილიაო და ქალაღი უკანვე გამოვიბრუნა. ღმერთმა ჰქნას ეს საურჯე ისე, როგორც სხვა მრავალი, ძალ-დატანებით არ გამოკლოდეს ხელიდამ გულ უბრყვილო დაზარულ ქართველ ერს, ისიც უცხო ერებისაგან, ამავე დროს ბერძენების ბერებისაგან ძალ-მოძრეობით და „ცბიერებით“ შეძენილ ტაძრებ-მამულს ქართველი ერის ბეწვსაც არ აკლებს, მონურად ქედს იხრის და იბეგრება თუ კონსტანტინოპოლის, თუ იერუსალიმის და თუ ანტიოხიის საპატრიარქო მონასტრების სასარგებლოდ... პატრონი და მშველელი კი არსააათაა...

კ. გძელი.

რ ა დ ა ვ ა შ ა ვ ე ი!

(ჩემი აღსარება)

მოძრაობის შემდეგ, 1907 წლიდან აღდგენილ იქნა ხელ-მწიფის შოადვილის, განსვენებულის მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ დამტკიცებული 1881 წლის სასწავლო გეგმა ჩვენებური სახალხო სკოლებისათვის, რომელიც მაშინდ-

ლი ოლქის შტრუნველის ბ. ზაქაძის მოხსენებით ორჯერ მოიწონა და დაამტკიცა კიდევ დღევანდელმა ხელმწიფის მოადგილემ, გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა, ჯერ შეუცვლელია და ამიტომ ძალაშია. თანახმად ამ გეგმისა, დასაწყის სკოლებში პირველ წელიწადს ოთხი თვის განმავლობაში მოსწავლემ უნდა შეისწავლოს სამშობლო ენაზე წერა-კითხვა და ანგარიში, რუსულ გაკვეთილებს პირველი ნახევარი წლის ნუსხაში ადგილი არა აქვს, იანვრიდან კი, ე. ი. მეორე ნახევარი წლიდან იწყება რუსული ენის გაკვეთილები ჯერ ლექსიური (ზეპირი), რომელიც გრძელდება წლის ბოლომდე დღეში 30—45 წუთს; მეორე წლიდან მოსწავლე იწყებს წერა-კითხვას რუსულ ენაზე და. ამ ათასჯერ გადაღებულ და შემუშავებული გეგმის დარღვევა, ვიდრე ის შეუცვლელია და ძალაშია, დიდ დანაშაულობად ეთვლება სახალხო მასწავლებელს, ამიტომ ყველანი ვალდებულნი ვართ დავიცვათ ის; მაგრამ ასე როდი მოხდა: ამ ექვსი წლის განმავლობაში, ყოველთვის ქუთაისის დირექციაში, ინსპექტორებმა გაილაშქრეს ამ გეგმის წინააღმდეგ და მოინდომეს მისი დარღვევა და შეცვლა „ერთგული მასწავლებლების“ წყალობით და მოღვაწეობით.

1912 წლამდე, სანამ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად იყო პატივცემული და მეტად პატიოსანი ადამიანი ლ. სემიონოვი, გაიძვერა ინსპექტორებს არ უჯერებდა და არ ეთანხმებოდა, ამიტომ გეგმაც დასული დაიწა, თუმცა „ერთგული მასწავლებლები“ ინსპექტორების გულის მოსაგებად მალულად პირველ წელშივე იწყებდნენ რუსული ენის სწავლებას პირველ განყოფილებაში და იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ შეიდი წლის ბავშვმა ქართული ამოკითხვა არ იცოდა, ისინი თუთიყუშით აზებობდნენ მათ რუსულ სიტყვებს და ამით უმახინჯებდნენ გონებას. 1912 წლის სექტემბრიდან ბ. სემიონოვი თავისი სურვილით მიიწინა თავი სამსახურს. მის ადგილზე დაინიშნა ბ. ნი კრუპსკი ცნობილი ინსპექტორ გროზლოვით. მოსელისათანავე ამათ

ძვალ-რბილში გაუჯდათ 1881 წლის სასწავლო გეგმის დარღვევა და თავი ისახელეს მით, რომ ჯერ გაილაშქრეს ქუთაისის ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლების წინააღმდეგ, იმ მოსახრებით, რომ თუ ამ პოზიციას აიღებდნენ, შემდეგ მთელი გუბერნიის სოფლის მასწავლებლებსაც დაითანხმებდნენ. ამ გეგმით ინსპექტორი გროზლოვი დირექტორის ლოცვა-კურთხევით შეუდგა საქმეს და ნოემბერში მოსთხოვა სკოლების გამგეთ, შეედგინათ პირველი ნახევარი წლის გაკვეთილების ნუსხვა თანახმად დირექციის მიერ შემუშავებული გეგმისა, რომელიც სახალხო ეწინააღმდეგებოდა 1881 წლისას მით, რომ გარდა სამშობლო ენის გაკვეთილთა რიცხვის შემცირებისა პირველი წლიდანვე იწყებოდა პირველ განყოფილებაში რუსული ენის გაკვეთილები. ოთხივე სკოლის გამგემ მასწავლებლებითურთ მოახდინეს კრება, მოილაპარაკეს და ყოველივე აცნობეს ქალაქის გამგეობას და სასწავლებელთა გამგე კომისიას; დაინიშნა შეერთებული სხდომა კომისიისა და ქალ. გამგეობისა; გაიგო ეს თუ არა გროზლოვმა, კიდევ მოსწერა გამგეობას და დრო დაუნიშნა, რათა მათ იმ დრომდე გაეგზავნათ მისთვის პირველი ნახევარი წლის ნუსხა, რუსული ენის გაკვეთილების შეტანით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ემუქრებოდა სამსახურიდან დათხოვნას. დეკემბრის 6—7 რიცხვებში მოხდა შეერთებული სხდომა, რომელზედაც მოწვეული იყვნენ სათათბიროდ გამგეები და გარეშე საპატიო პირნიც; ბევრი თათბირის შემდეგ დაადგინეს; დეპეშა გაეგზავნოს ოლქის შტრუნველს თფილისს და ეთხოვოს შეაჩეროს საქმის გამორკვევამდე დირექციის უკანონო მოთხოვნა; გამგეებს კი დაავალა სხდომამ ინსპექტორისათვის ჯერ არაფერი არ გაეგზავნათ. დეპეშის გაგზავნა მიანდევს ქალაქის თავს ილია ჩიქოვანს, რომელმაც კიდევაც გაგზავნა. ამასობაში ინსპექტორისაგან დაინიშნული დრო დაუდგათ გამგეებს, სამმა მათგანმა დაპარგა სულის სიმშვიდე, აღარ დაუცადა დეპეშის პასუხს და მასწავლებლების დაუკითხავად, მალულად მეორე დღესვე გაუგზავნა ინსპექტორს ახალი ნუსხა, წინააღმდეგ

გი 1881 წლის გეგმისა. გატყდა ციხე შიგნი-
 ლან, ალაპარაკდა პრესა, ახმაურდა საზოგადო-
 ება, დაიბეჭდა საპროტესტო წერილები, პასუ-
 ზი მოეთხოვა მასწავლებლებს, ვინ რა როლს
 ასრულებდა, როდესაც გამგეებმა ეს ჩაიღინეს
 და სხვა... პირველად დაიბეჭდა სამი დამნაშა-
 ვე გამგის წერილი, რომლითაც ისინი ბოდიშს
 იხილდნენ საზოგადოების წინაშე და აცხადებ-
 დნენ, რომ თუმცა დირექციას გაუგზავნეს ნუ-
 სხა, მაგრამ მოსატყუილებლად და დროს მოსა-
 გებად, თორემ საქმით განხორციელებას არ
 ჰფიქრობდნენ და თუნდაც მოენდომებიათ ამ
 ნუსხით მეცადინობა, მასწავლებლები მაინც
 თანახმა არ გაუხდებოდნენ და სხვა... „წყალ-
 ში ჩავარდნილი ხავს ეციდებოდაო. ასეთი იყო
 მათი თავისმარლება ბოდიშში (იხ. გ. „იმერეთი“
 1912 წ. 66 ნომერი). შემდეგ მოჰყვა მასწავ-
 ლებლების წერილები; პირველად 16 დეკემ-
 ბერს „იმერეთის“ 68 ნომერში დაიბეჭდა ჩემი
 წერილი: „სამი გამგის საქციელის გამო“: ამ
 წერილში ვიცავდი რა 1881 წლის სასწავლო
 გეგმას, საყვედურს ვუცხადებდი გამგეებს განსა-
 კუთრებით კი შევებე მესამე სკოლის გამგის
 საქციელს, აჩქარებისა გამო. მტრება მაშინვე
 მიუბრუნნეს გროზლოვს იმ გაზეთის ნომერი,
 რომელშიაც იყო დაბეჭდილი ჩემი წერილი;
 მესამე დღეს განრისხებული გროზლოვი დამეცა
 თავს სასწავლებელში და მისაყვედურა: როგორ
 გაბედე და გამოამედაუნე ჩვენი უკანონო განკა-
 რგულება და სკოლის გამგის მოქმედებას რად
 უწოდე **სამარცხვინო საქმე** გაზეთის ფურც-
 ლებზედო. დამემუქრა და მომთხოვა წერილო-
 ბითა პასუხი მიმეცა მისთვის იანვრის 7 რიც-
 ხვამდე. მე ვუპასუხე, თუ რამ გამოიწვია ჩემი
 წერილი, თან დაუმატე, რომ მე არც დირე-
 კტორს და არც ინსპექტორს არ შევებებე, არ
 არამედ დავგმე საჯაროდ გამგე-მასწავლებლების
 მოქმედება და თუ ისინი შეურაცხყოფილად
 გრძნობენ თავს, შეუძლიათ გამომიწვიონ სამარ-
 თალში და პასუხი მაგებინონ თქვა. ვავიდა რვა
 იანვარი, წერილობითი პასუხი არ გამოგზავნია;
 მეორე დღესვე ინსპექტორს ჩემი დათხოვნის
 შესახებ მოხსენება მიეტანა დირექტორთან,

რომელსაც სიამოვნებით მოეწერა თანხმობაზე
 ხელი. აცნობეს ქალაქის გამგეობას და იმ სკო-
 ლის გამგეს, სადაც მე ვმსახურებ, რომ მე დამი-
 თხოვეს ვაზ. „იმერეთში“ წერილის მოთავსები-
 სათვის, ამსთანავე გადააყენეს გამგეობიდან ოდი-
 შარიაც დირექციის მოთხოვნის შემსრუ-
 ლებლობისა გამო. ვაიმარჯვეს „ერთგულმა მას-
 წავლებლებმა“, დაემარცხდით პროტესტატები.
 ამხანაგებმა მაიძულეს და წერილობითი პასუხი
 მაინც გამაგზავნინეს ინსპექტორთან, საღამოს
 მეც შევედი, რათა სიტყვიერად მიმეცა ჩემი პასუ-
 ხის განმარტება; მან მომისმინა, მაგრამ ქუთაისში
 მასწავლებლად დატოვებაზე კი უარი მითხრა:
 დირექტორმა დამტკიცა შენი დათხოვნა და
 აწ გვიანლა არისო. მე განვაგრძე სამსახური,
 ქალაქის გამგეობა არ მითხოვდა; პირიქით მამ-
 ხნევებდა, მეუბნებოდა, სასწავლებელი არ დამე-
 ტოვებინა. ინსპექტორი გროზლოვი გულზე
 სკდებოდა, მე რომ კლასში ვმეცადინობდი,
 ორჯერ მოვარდა გაბრაზებული და წინადადება
 მისცა გამგეს: ნუ ამეცადინებ ნაცვლიშვილსო,
 რადგან, როგორც გადაყენებულს, უფლება
 არა აქვსო. მე განუუცხადე: „ვიღრე ქალაქის
 გამგეობა არ მომწერს დათხოვნის ქალაქს
 და ჩემს მაგიერ კაცს არ გამოგზავნის, კლასი-
 დან ვერ გავალთქო“. მზრუნველისაგან დეპეშის
 პასუხი არ სჩანდა, დირექციაც შეჩერდა. ქა-
 ლაქის გამგეობამ და კომისიამ სხდომა მოახდინა
 და დაადგინა: ქალაქის თავი ბ. ილია ჩიქოვანი
 ჩასულიყო ტფილისს და მოლაპარაკებოდა
 პირადად ოლქის მზრუნველს, თან კომისის
 წევრს, ბ. გრ. გველესიანს დაავალეს დაეწერა
 დაწერილებით მოხსენება ამ ინკვიდენტის შესა-
 ხებ და საბჭოში განხილვის შემდეგ გაეგზავნათ
 გუბერნატორის შუამდგომლობით ხელმწიფის
 მოადგილესათვის. დაიწერა ვრცელი მოხსენება
 დირექციის უკანონო მოქმედების შესახებ,
 რომელიც განხილულ და მოწონებულ იქნა
 საბჭოს მიერ და გაიგზავნა გუბერნატორის
 კანკლარიში ხელმწიფის მოადგილესთან
 გასაგზავნათ; ქალაქის თავიც იანვრის დამდეგ
 რიცხვებში გაემგზავრა ტფილისს. მზრუნველმა
 მოისმინა რა ქალაქის თავისაგან საქმის გარე-

მოება, უკანონოდ სცნო ღირეკციის მოქმედება და მისცა სიტყვა ქალაქის თავს, რომ საქმეს მშვიდობიანად გაათავებდა და გადაყენებულ მასწავლებლებსაც თავის ადგილებზე დააბრუნებდა. ეს ამბავი ქალაქის თავმა დებეშით აცნობა ქალაქის გამგეობას, და სთხოვა შეეჩერებინათ მოსენების გაგზავნა ხელშეწყობის მოადგილესთან, მეორე დებეშა კი გაუგზავნა პეტერბურგს დებუტად გელოვანს პასუხად იმის დებეშაზე, რომლის შინაარსი დაბეჭდილი იყო გაზეთ „იმერეთში“ და აქვე მომყავს, რათა გაეაცნო მკითხველებს ოლქის მზრუნველის დაპირება: „სახელმწიფო სათათბიროს დებუტადმა გელოვანმა აცნობა ქალაქის მოურავს, რომ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სპოლენების დირექტორ-ინსპექტორის უკანონო მოქმედების შესახები შეეითხვას სათათბირო განიხილავს ოთხშაბათს 6 თებერვალსო. ქალაქის მოურავმა დებეშით აცნობა გ. გელოვანს: სკირთა პრინციპიალურად მხარი დაუჭიროთ შეეითხვას: ამავე დროს განაცხადოთ, რომ ოლქის მზრუნველი, საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ. პირადად შემპირდა საქმის მშვიდობიანად გაათავებას და დათხოვნილ მასწავლებლების თავის ადგილზე დაბრუნებას.“

ლადო ბზვანელი.

(დასასრული იქნება)

ახლო-მახლო.

თვით-ცნობიერება!.. არის თვით-ცნობიერება, — არის-არსებობს კერძოდ ადამიანი და საზოგადოდ ხალხიც; ისპობა ის, — ისპობა ერთიცა და მეორეც...

აზნელ-დაზნელი და გაპარტახებული ოჯახი, მიყრილ-მოყრილი და მინგრეულ-მონგრეული სახლ-კარი, შემოუღობაეი და ღორების სადგური ეზო, შიშველ-ტიტველი და პატივ-ახდილი ცოლ-შვილი... აი საკუთრება თვით-ცნობიერება დაკარგული ადამიანისა. კარის-კარ მოლოლიაღე და სასაცილოდ გამხდარი ადამიანისა!..

ასეთივეა საზოგადოდ ხალხიც, როცა მას თვით-ცნობიერება ეკარგება!... ვერ ასწრებთ გარემოხედვას, რომ ეს ხალხი ჰყარავს თავის ხალხოსნობას, ენას, სარწმუნოებას, ზნე-ჩვეულებას, ტერიტორიას, ისტორიულ წასულოს და მომავალს და ყველა იმას, რაც მას უსათუოდ უნდა კუთნებოდა...

დაბნელებულია ოჯახი, სადაც ლამპარი არ მოიპოვება!... ოჯახი უბნელდება იმას, ვინც არ ჰფიქრობს, რომ ლამპარს უცვალოს და უსუფთაოს პატრუქი და უსხას ზეთი, როცა ის მას მიაკლდება... თავის-თავის მცნობ ხალხსაც სწორეთ ლამპრად მიაჩნია სამშობლო, უელის და პატრონობს მას...

საზიზღარია არწივი, რომელსაც ეკარგება თვით-ცნობიერება — იმედი თვით-არსებობისა და თავისვე ნიკარტით აგლეჯს ფრთებს, ისპობს აღმა-ფრენას, ზეციური ჰაერის სუნთქვას და ეკვრება დედა-მიწას, დედა-მიწასთან სწორდება!

არის ხალხი, რომელიც კვერცივით უფარდება მალა-გაძლიერებულ მეზობელს ხელში და არის ხალხი, რომელსაც თავის-თავზე შეუმტარი წარმოდგენა აქვს, რომელიც გაუქრობელი ლამპარივით ანთია... ეს უკანასკნელი კდეც რომ დაბლა იდგეს კულტურულად, მაინც სათაყვანოა, მაინც სადიდებელია... მაგრამ შეიძლება-კი, რომ თავის-თავის მკოდნე ხალხი კულტურულად დაბლა იდგეს?!

ამ საკითხის განსამარტავ მავალითს წარმოადგენს ჩვენ დროში მონაკოს სამეფო, რომელიც თავის სიპატარაეისა გამო „მიკროსკოპიული“ სახელმწიფოს სახელს ატარებს. ეს სამეფო ყველაზე უპატარაეისა მთელს დედა-მიწის ზურგზე და, ერთი შეხედულობით, თვით სასაცილოც... მაგრამ ვანა სასაცილოა ის ერთი მუქა ხალხი, რომელსაც მალა-აღძრულ მეზობლებ შორის თვით-არსებობა დაუკავს?! მონაკოს სამეფოს ტერიტორია შეიცავს სულ 360, 000 ოთხ კუთხ საფენს, ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ-400 ქცევა მიწას, რაც უბრალო აზნაურის მამულს უდრის ჩვენში. — მთელს სამეფოს აქვს ოთხი ვერსი სიგრძე და სიგანე-კი ალოა-ალოა ნახევარი ვერსისაც არა აქვს. ამაზე

დასახლებულია 18,000 მცხოვრები; თითო სულზე რომ ვიანგარიშოთ, მოუწევს 20 ოთხკუთხი საყენი არც მეტი არც ნაკლები. მონაკოში საში ქალაქია: მონაკო, მონტეკარლო და კონდამინა. ეს ქალაქები იმდენათ გაზრდილა რომ ერთი-მეორეს შეერთებია და მთელი ტერიტორიაც მოუკავებია. ეს ქალაქები, უკეთ რომ ვსთქვათ ქალაქი-სამეფო, ამაყათ გადასცქერის მონაკოს მთა-კორტოხებიდან ხმელთა-შუა ზღვას.

ამ, მართლაც მიკროსკოპიულ, სამეფოს ჰყავს თავის საკუთარი მეფე, ჯარი, ფლოტი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები; აქვს თავისი ფული, იარაღი და ყველა ის, რაც საქირთა თითოეული ცალკე სამეფოსთვის... განათლებით მონაკო სხვა სახელმწიფოებზე დაბლა არ სდგას და, არა თუ არ ჩამოუარდება სხვას კულტურულადაც, მთელს დედა-მამას აკვირვებს თავის საზღვაო მუზეუმით, რომელიც გაშენებულია ზღვის პირად და ერთი თავით პირდაპირ ზღვაში ეშვება. — მუზეუმის ქვედასართულში შემოყვანილია ზღვიდან წყალი, სადაც დაუტყვევებიათ ყოველგვარი განსაკვირვებელი ზღვის ცხოველები და ყოველნაირი თევზები, ისეთებიც-კი, რომელნიც ამოყვანილნი არიან ზღვის 4—5 ვერსის სიღრმიდან. დანარჩენ ორ ზევითა სართულში მოთავსებულია, სპირტში, თიქმის ყოველი ჯურის ზღვის ცხოველები, აგრეთვე ზღვის ძირის გამოსადიებელი იარაღები და ხელ-ქურქლები, ზღვა-ოკეანეთა ქარტები, ჩონჩხები და ცოცხალი სახეები (рыбы) ზღვის საუცხოვო ცხოველთა და სხვა. კუთვნილებანი საზღვაო მუზეუმისა. — იქვე არის ლაბორატორიები და კაბინეტები, რომელთაც უსასყიდლოდ უთმობენ ყველა ქვეყნის სწავლულ-მეცნიერებს სამეცნიერო საქმისთვის. — როგორც თურნალ-გაზეთები ვადმოგვცემენ, გასულ 12 მარტს, ამ მუზეუმში მოხდა ზოოლოგიური საერთა-შორისო კონგრესი... ამ სახით, დღეს საცილოთ არავის მიაჩნია, რომ ეს მუზეუმი გაშორებით მაღლა სდგას ყველა მის შესაეს მუზეუმებზე მთელ დედა-მიწის ზურგზე... მარტო ეს მუზეუმიც რომ ავიღოთ, იქიდანაც

შევიძლია ცხადი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ „მიკროსკოპიული“ სამეფოს სიდიადეზე, მაგრამ იგი სხვა მხრითაც შესანიშნავია! — მომსვლელ სტუმრების რიცხვით მონაკოს ყველა სახელმწიფოებზე წინ აყენებენ: მარტო შესანიშნავ სტუმრებს იქ მილიონობით ანგარიშობენ... მილიან სხვადასხვა ქვეყნის სწავლულ-მეცნიერები, სახელმწიფო მოღვაწენი, მილიარდერები და სხ., რის გამო მთელი მონაკოს სამეფო ძვირფასი სასტუმროებ-რესტორანებით და დროს გასატარებელ დაწესებულებებით არის მოფენილი, რაც იძლევა სამეფოს შესანახ წყაროს... პირდაპირ ვარდასახადი იქ ხალხს სულ არ აძევს, ამ მხრით სამეფო არ აწუხებს ხალხს.*) სხვათა შორის იქაური ბუნებაც იზიდავს სტუმრებს, იქ მუდამ გაზაფხულია და ზამთარზე წარმოდგენაც არ აქვთ; შუა დეკემბერშიაც ახლად აყვავებულ ვარდ-ყვავილების სურნელებით იტკობენ ყნოსვას... მონაკოს სამეფო ხნითაც არ ჩამოუვარდება ბევრ სახელმწიფოებს; მის ისტორიას გაშორებით მეტი ახსოვს, ვიდრე რუსეთის და ზოგიც სხვა სახელმწიფოების ისტორიას. — ამასთან, ისტორიას არ ახსოვს, რომ მონაკოს თვით-არსებობა ოდესმე შერყეულიყოს...

როგორ მოხდა, რომ ეს ერთი ფეხის გადადგმა სამეფო არ შთანთქმს გარშემო-აზვირთებულმა ტალღებმა, ან ის როგორ მოხდა, რომ მან თვითონ თავი არ შეაფარა სხვის კალთას და თვითონვე არ მოისპო დამოუკიდებლობა? ამის მიზეზთა შორის პირველი ადგილი უსათუოდ თვით-ცნობიერებას უნდა დაეთმოს; თვით-ცნობიერებამ დაიცვა და შეამაგრა ხალხი. —

გადავიდეთ ახლა საქართველოს ძველსა და ახალ ისტორიაზე. — საქართველოს ბევრი

*) აქ აღსანიშნავია ზოგი, არც იქით ვარ, არც აქეთ“ ქართველების აზრი, რომელნიც „შინაურულად“ ავრცელებენ ხმას, რომ საქართველოს, უსაშვლოობის, გამო, არ შეეძლება თავს შენახვა კდეს რომ მიეცეს ავტონომია. ეს ისეთ მძიმე ტვირთად დააწევა ხალხს, რომ დედა-მიწასთან გასრესსო... რას უნდა მიეწეროს ასეთი შიში? — აბა ვის აქვს იმდენი სიმდიდრე, რამდენიც საქართველოს მარტო მთებში აწყვია?...
ავტ.

ახსოვს გონიერი, გამჭრიახი, შორს-მკვრეტელი და თავის-თავის მცნობი მეფეები... მათ დროს გარემოებაც იცვლებოდა: მტრები საქართველოს საზღვრებზე გადმოსვლას ვერ ბედავდნენ, მეფეს მეფედ აფასებდნენ და ხალხს-ხალხად... ხალხიც უფროდ თვით-ცნობიერდებოდა და კულტურაც ყვაოდა... აღიოდნენ ტახტზე ქარაფ შუტა და თავის-თავის სრულად უცნობი მეფეები და გარემოებაც უკუღმა ტრილდებოდა: მტრები მაშინვე შხადებან იწყებდნენ და საქმე მისწრებაზე მიდგებოდა, — ვინც შემოსევას მოასწრებდა, საქართველოც მისი იყო. ხალხიც უცნაურად იცვლიდა ფერს — მასაც ეკარგებოდა თვით-ცნობიერება და კულტურაც ეცემოდა... „ნეტავი კახეთი გამოიხრდებოდეს, სანადირო ბევრი მექნებოა,“ — ღმერთს შესტირის და შეღალატებს მეფე თეიმურაზი, ის თეიმურაზი, რომლის გულის-ყური სულით დაცემულ ჯაშუშების გესლიანი ენისკენ იყო მიპყრობილი, ის თეიმურაზი, რომელიც მუსრს ავლენდა სამშობლოს საუკეთესო შვილებს... იყო ზედმიწევნითი გულადი შინაურობაში, მაგრამ, იმავე დროს, არ იცოდა სად თავი მიედრიკა, როცა შაჰ-აბაზს სპარსეთში ცხვირს დააცვივებდა!... ასეთი მეფეები მშვიდობიანობის და დაღმინების დროს, არა თუ სრულიად არ ფიქრობდნენ, არ ზრუნავდნენ ხალხის გონებრივი, ზნეობრივი, ქონებრივი და კულტურული წარმატებისთვის, რომ გაჭირვების დროს ეს ყოველი თვისებით შემკული ხალხი სამშობლოს სადღეგრძელოთ გამოეყენებიათ, არამედ იალბუზის მთის სიმძიმით აწევბოდნენ კისერზე... საქართველოს გაოხრებას ღმერთს შენატროდნენ, ოღონდ სანადირო ბევრი ქონოდათ... ასეთი მეფეების ხელში თითქმის სულ ერთი იყო ხალხისათვის — თავისი ეყოლებოდა მეფე, სპარსი, თუ ოსმალი და ხშირადაც ეს უკანასკნელი უფრო ხელ-საყრელი იყო მისთვის, ვიდრე პირველი, თავისი... ამ სახით, თავისთვის სრულიად უცნობ მეფეების ხელში, მრავალი საუკუნეების განმავლობაში ეტანჯა და ეჯახი-რა ჯვარცმული საქართველო, სანამ რუსეთის კალითაში ტყბილად არ მიიძინა...

გადაუხედოთ ახლა თანამედროვე საქართველოს!... რას ვიპოვით?... თითქმის არაფერს სანუგეშოს... გულ-ახდლიად უნდა აღვიაროთ, მას ახლაც თავის საკუთარი მეფე რომ ყავდეს, ახლაც სხვაგან უნდა ეძიოს თავ-შესაფარი! იმიტომ კი არა, რომ ვითომც მას არ შეეძლოს თვით-არსებობა! არა... საქართველოსთვის მტერს

თავის დღეშიც არ უძლევი, ამ აზრის უმაღლესი მნიშვნელობით... საქართველო, ის საქართველო, რომლის ერთი შვილი ხშირად 10-15 მტერზე არხეიანად იმარჯვებდა, მხოლოდ მაშინ ეცემოდა, მხოლოდ მაშინ უფარდებოდა მტერს ხელში ასაწეწ-დასაწეწად, ასაოხრ-დასაოხრებლად, როცა უმისოდაც შიგნით აწეწილ-დაწეწილი და აოხებულ-დაოხრებული იყო... მაშინ და მხოლოდ მაშინ საქართველოს რაც აკლდებოდა შვილითგან, მას უსრულებდნენ მტერნი.

იგივე მეორდება დღესაც!... სამწუხაროა, რომ ასეთი აზრი გვქონდეს, მაგრამ რა ვქნათ! აზრს იწვევს მწარე კეშმარიტება. — თუ ძველათ, საქართველოდ, კახეთად, იმერეთად, ოდიშად, გურიად და სხვ. იწეწებოდა საქართველო, დღეს ს.-დემოკრატიულად, ს.-რევოლუციონერულად, ავტონომისტ-ფედერალისტულად, თვით ანარხისტებადაც და რამდენ-რამ ნაკუწად გნებავთ ის არ იწეწებოდეს!... თუ ძველათ სამშობლოს მოყვარულ გმირებს მახეს უგებდნენ სულით დაცემულნი, დღეს ეს მახეები და დასასხლეტები ყოველ ფეხის გადადგამაზე აწყობილი სამშობლოს ერთგული შვილისთვის; თუ ძველად ვისაც სწამდა სამშობლოს დიდებული მომავალი, პირში ბურთს ჩრიდენ ურწმუნო მუხანათები, დღეს შხამიანი ისარიც არ ემურებათ ურწმუნოებს მორწმუნეთათვის... თუ ძველად საკმაო იყო ქრთამად ერთი ყარაბაღული ლაფშა, დღეს საკმაოა საყელოზე ერთი შეტი ვარსკვლავი... ერთი სიტყვით, თანამედროვე საქართველო ღვიძლი შვილია ძველი საქართველოსი, მხოლოდ უფრო ნახეხი, ნათრევი და გამოფუტურებული...

მონაკოში რომ ვინმემ ილაპარაკოს საქართველოზე და მის ს.-დემოკრატიებზე, მგონი არავინ დაიჯეროს ცხადი სიმართლე და თუ დაიჯერეს, არ შეიძლება, რომ ჩვენი ეს დეკები კეუაზე შემცდარად არ აღიარონ!... ჩვენ თვალყური შეჩვეული გვაქვს ჩვენს ეს დეკებზე და არად გვიჩანს მათი ახლო-მეზობლობა, თორემ ვინ იქნება ისეთი უცხო, რომელიც ქართველ ეს დეკს შეეყაროს და წყენა სახეზე არ დაეტყოს!... თვით რუსეთის ეს დეკებიც, რომელთა ხორცთაგან ხორცს და ძვალთაგან ძვალს შეადგენს ჩვენი ეს დეკები, არ შეიძლება ვულში ზიზღს არ გრძობდნენ უკანასკნელთაღმნი!... რუსეთში თუ ეს დეკები, მათ მნიშვნელობაც აქვთ... მაგრამ რის მაქნისია ქართველი მოქა-

ლაქე-რუსეთის ესდგეი!... ჰო, მთელი ქვეყანა უნდა შეერთდესო და პირველად ქართველმა უნდა მისცეს სხვას მაგალითი... აფსუს გრძობით აღსაფსევლო!...

ქართველ მდაბიო ხალხს, რაც თავის-თავი ახსოვს, ერთი ტკბილი საათი არ გათენებია. ის, ან იყო მტრის მონა-მორჩილი და ფერთა მტვერი, ან თავისივე შეფუების „გასაოხრებელი“, რომ მათ სანადირო ბევრი ჰქონოდათ, ან თავისივე თავად-აზნაურთა გემრიელი ლუქმა!... არ დამდგარა ისეთი წამი, რომ ქართველი მდაბიო ხალხის ჰკუა მალლა წერტილს შესჩერებოდეს; არ დაუკრავს ისეთს წლთს, რომ ეს დაბალი წოდება ასე თუ ისე არ მოტყუებულობდეს, რასაც განიცთის ის დღე-საც; არაოდეს მომხდარა, რომ მას ბატონ-ყმურ აზრებისათვის შორს მჭკრეტელ თვალის ისარი გაეყაროს... მაგრამ რას ვამბობ! -- როცა ბატონ-ყმობა გაჰყარეს, გლეხები გროვა-გროვა მიდიოდნენ თურმე თავიანთ ნაბატონებთან და ცხარე კრემლებით შესტიროდნენ: -- „ან ჩვენ რა გვეშველება აწი და ან თქვენო!...“ ეს რომ დღევანდელ გლეხს უთხრათ, ასე გიპასუხებთ: „ოჰ, რა გიყვები ყოფილან ჩვენი მამებო“ და იმას კი არ აკვირდება, რომ მასვე გაიძახის ის თვითონ დღეს! სწორედ მასვე!... და თუ მამა კრემლს ღვრიდა, შვილი სისხლს ღვრის, რომ თავის-თავი თვითონ მას არ ჩააბარონ!... ამის შემდეგ ვის შეუძლია სთქვას, ჩვენს ხალხს თვით-ცნობიერებისა რამე სცხიაო! ვის შეუძლია სთქვას, რომ მას ოდესმე ყური მოეკრას ცით ნარევი ჭეშმარიტებისათვის, რომ იმდენად შეგიყვარებს სხვა, რამდენადაც შენ თვითონ გიყვარს შენი თავიო... ამის შემდეგ ან ვის გაუკვირდება, რომ ჩვენი ხალხი თავის ბელად-ესდგეებთურთ დღეს იქით მიისწრაფოდეს, სადაც მას არა თუ არავინ მიაქვავებს ღირსება-მოპოვებულ ადამიანის ულუფას, არამედ თვით მაშინაც კი გაამათრახებენ და დაამკირებენ, როცა ის, მშვიერ-მწყურვალი, სხვისი ნასუფრალისკენ ხელს გაიშეკრს... მაგრამ ვისი რა ბრალი იქნება! ასე მოუვა სხვის ფეხის ხმაზე მოცკვეარ ადამიანს, რომე-საც თავისი კერა სხვის ოჯახში გადააქვს. --

კირილე წუთისოფლელი.

† დიმიტრი ივანესძე აბაშიძე.

13 ივნისს ნაშვილიშვიის 2 საათზე ხუთი დღის ავთოპოფობის შემდეგ ანთებით გადაი-

ცვალა თავის ბინაზე დაბა ქიათურაში საჩხერის ოლქის საკლესიო-სამრევლო შკოლების საბატო მზრუნველი ქველმოქმედი და საზოგადო მუშაკი ქიათურის ნოტარიუსი დიმიტრი ივანესძე აბაშიძე. განსვენებული დიმიტრი 60 წლის კაცი იყო; გარდაცვალების წინა დღეებში საეკლესიოთ თავის საზრუნველო შკოლებში დადიოდა, არგვეთის შკოლაში გამგზავრების დროს გზაზე ოფლი შედენოდა, იქიდან გამობრუნებისას წვიმაც დასწრებოდა და გაცივებულიყო. დიმიტრი რომ არ ჩარეოდა ისეთი არასფერი საზოგადო საქმე არ კეთდებოდა. იშვიათი ენერჯის პატრონი იყო განსვენებული განსაკუთრებით საეკლესიო-სამრევლო შკოლების და ეკლესიების გაუმჯობესობას და აყვავებას მაცადინობდა და სწირავდა თავის ეკონომიურს და ფიზიკურ ძალას. 14 ივნისს ქიათურიდან საჩხერით სოფ. სავანეში წასვენეს. ბინიდან ქიათურის ვაკლამდის დიდძალი ხალხი გაყვა; გზაზე პროკესია შეჩერდა და სიმონ წერეთელმა მეტათ გრძობიერი სიტყვა უთხრა. ქიათურის სადგურზე მკირე პანაშვიდის შემდეგ სიტყვები უთხრეს დეკანოზმა იოსებ წერეთელმა და მღვ. ბარათაშვილმა. საჩხერეში გაყვენ ქიათურლები, საჩხერის სადგურზე ჯრუჭის არქიმანდრიტი მ. გაბრიელი აღვილობითი სამღვდლოება შემოსილი შემოეგება, სადაც მთელი საწერეთლოს თავად-აზნაურები, გლეხობა და მთელი საჩხერის მცხოვრებლები ქალები და კაცები დახვდნენ, ატყდა ერთი უსაშინელესი ტრილი, ქვითინი და მღულარე კრემლები, ყველა სტიროდა საერთო მწუხარებით მშვენიერ ადამიანს. მკირე პანაშვიდის შემდეგ გარდაცვალებული დიდი პროკესიით ხელით წასვენეს თავისს ნაშრომს და ნაამაგვე საჩხერის ორკლასიან სამრევლო შკოლაში, იქ შკოლის ეზოში ცაყზე ქვეშ დაასვენეს, სადაც გულშემზარავი ტრილი-ქვითინი ატყდა. იქაც პანაშვიდი გადაიხადეს და სიტყვები უთხრეს: ბლაღოზინ მა მღვდელმა ვლადიმერ აბრამიშვილმა, მღვ. აბითარ იაკობაშვილმა, ერთმა ნამოწათარმა ახალგაზდა აბრამიშვილმა. საჩხერელ ებრაელების წარმომადგენელმა ერთმა ებრაელმა, მოშა ნანიკაშვილმა, რომელმაც კარგათ დაასურათა განსვენებულის ღვაწლი დ. საჩხერეში, ლექსი წაიკითხა ბაირონიშვილმა (ყურულიშვილმა). შემდეგ მიცვალებული იმავე პროკესიამ ხელით წასვენა სამშობლო სოფელ სავანეში, სადაც 16 ივნისს დღით ყვირას მიამარეს მიწას თავისი სარწმუნეობის და ენის მოყვარე. და მო-

სარჩლე დიმიტრი. იმ დღეს მრავალი გვირგვინები და სამგლოვიარო დეპეშები მიიღეს საეანეში. სხვათა შორის გვირგვინები იყო: ქიათურაში ეკკლესიის აღმაშენებელი კომიტეტიდან, ქიათურის შაი ქვის მრწველთაგან, ქიათურის ვაჭართაგან, ქიათურის ბერძნების საზოგადოებისგან, საჩხერიდან, ქუთაისიდან და სხვ. წესის აგება შესარულა იმავე არქიმანდრიტმა მამა გაბრიელმა მთელი საბლალაონოს ოლქის სამღვდელთაგან თანამონაწილეობით. ანდერძის შესრულების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: მღვდელმა ბესარიონ ვაშაძემ, მღვ. სერგი მაქარაშვილმა, ერთმა მანდილოსანმა, მასწავლებელმა აბდუშელიშვილმა, სიმონ ბარათაშვილმა და მასწავლებელმა გრიგოლ წერეთელმა. აქვე მოგვეყავს მღვდლის ბესარიონ ვაშაძის სიტყვა:

„არა მოვეკდე, არამედ ვსცხონდე და გავსთქენე მე საქმენი უფლისანი“ (ფსალმუნი)

„სულითა და ზნობით მაღალო, გულით კეთილო, მდაბალო, მშვიდო და მწყნარო, სარწმუნოებით, ღვთის მოყვარეობით და კაცთ მოყვარეობით ქრისტეს მიმდევარო და ქეშმარიტო ქრისტიანო, გამოცდილებით და განვითარებით იშვიათო, ქველმოქმედებით და მრავალი ნაყოფიერი შრომით საზოგადო მუშაყო, მარად დაუფიწყარო დიმიტრი ივანესძე! სიკვდილი თავზარ-დაცემია ყველასთვის, თანაბრად უსპობს სიკოცლეს ყველას: მდიდარს და გლახაკს, ბრძენს და სულელს, დიდსა და პატარას, იმასაც, ვინც თვისი მოქმედებით კლავი დააჩინა ამ ქვეყნად თავისს სიკოცლეს და იმასაც, ვინც ტალანტი მიწაში ჩაფლა და საფლავში თან ჩაიტანა თავისი სახელი. ნეტარება შენ, კეთილო სულო, რომ შენი სახელი მარად უკვდავი და სანახსოვრო რჩება ამ ქვეყნად. ვინ მოსთვლის ყველა იმ სიკეთეს, რაც ამ ქვეყნად გათესია, ვინ მოსთვლის ყველა იმ ნაყოფიერ შრომას და მოღვაწეობას, რაც შენ ჩვენ საზოგადოებაში მიგიძღვის. თვალი რომ გადავავლოთ შენს სინჯტ: როცხვრებას, თამამად ვიტყვი, რომ შენ ხვენი დროის მოციქულ-

თა სწორი ხარ. ქრისტეს მოციქულები და მათი მიმდევარი მოციქულთ-სწორები მხნედ და მედგრად ქადაგებდენ ქრისტეს მოძღვრებას, ავრცელებდენ სახარებას, განამტკიცებდენ ახალ ქრისტიანებს სარწმუნოებაზე, ავრცელებდენ და აშენებდენ ტაძრებს, ჰყენდენ სასულიერო ზნეობრივ სწავლას ხალხში და სხვა. შენც მათ მიმბაძველს, საყვარლო მუშაყო, ცხოვრებაში მიზნად გქონდა გაგვერცელებია ტაძრები მეცნიერებისა — შკოლები და ტაძრები სარწმუნოებისა — ეკლესიები შენ დიდი ერთგული ჰირსუფალი იყავი საეკლესიო-სამრევლო შკოლებს; სადაც კი გახსნილი იყო ეს შკოლები, იქ ხელს უწყობდი მათ გაუმჯობესებას და აყვავებას და სადაც ჯერ არ იყო გახსნილი, იქ შენი თაოსნობით და თანიგობით შენი მოყვარული სოფლები ხსნიდენ და ავრცელებდენ შკოლებს. შენ სასულიერო სამასწავლებლო მთავრობამაც შეგამჩნია ასეთი ერთგულება სახალხო განათლების საქმეში და დიდის სიხარულით და კმაყოფილებით დაგნიშნა საჩხერის ოლქის საეკლესიო-სამრევლო შკოლების საპატრო მზრუველად; მაგრამ მარტო ქაღალდზე არ ყოფილხარ აღნიშნული მზრუნველად ზოგიერთებით, არამედ საქმით, სიტყვით და ნაყოფიერი შრომით. საღმრთო წერილი გვიბრძანებს, რომ ფარისევრულად არასფერი ქველმოქმედება არ ჩაიფინათ, რასაც გასცემს მარჯვენა ხელი, არ უნდა იკოდეს მარცხენაში. ქეშმარიტად საღმრთო წერილის თანახმად ჩადიოდი ქველმოქმედებას: წვრილი კოლშილით და დიდი ოჯახით დატვირთულმა საჩხერის ორკლასიან შკოლას ნაღდათ ათასი მანეთი შესწირე, რაც ბევრმა არც კი იცის. ამას გარდა იმავე შკოლას ოთხი ათასი მანეთის საღირალი სახლი აუშენე შენი საკუთარი ჯიბით და კიდევ შესწირე; ამ უკანასკნელად შენი გულითადი სურვილი იყო, რომ საჩხერეში გადმოგეტანა მეორეკლასიანი აღისუბნის საწავლებელი და საჩხერის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო შკოლა აქ — სოფელ საეანეში გაგეხსნა. მაგრამ უღმობელომა სიკვდილმა აღარ დაგაცალა. რა იყო თავი და

თავი მიზეზი შენი ეგრეთი გულითადი სიყვარულის და გულშემატკივრობისა ჩვენი საეკლესიო-სამრევლო შკოლებისადმი? ერთი მხრით შენ მტკიცედ ვახსოვდა და კიდევ ენერგიულათ ასრულებდი გარდაცვალებულის მამის შენის ლეკანოზის იოანე აბაშიძის ანდერძს, რომელმაც მტკიცედ შთაგინერგა გულში სიყვარული ამ შკოლებისა და კიდევ გაიანდერძა მზრუნველობა და ჭირისუფლობა მათი, მეორე მხრით, ჩვენო მუშაკო და ხალხის გულის მესაიდულე დიმიტრი, შენ როგორც გამოცდილმა და საზოგადოების ერთგულმა წევრმა ძალიან კარგად იცოდი, რომ ამ შკოლებში მტკიცედ არის დაცული და შენახული კაცობრიობის ორი საუკეთესო საუნჯე: სარწმუნოება და ენა და ამ ორივე საუნჯის აყვავებას ესწრაფოდა შენი გული, სული და კეთილგონიერება. როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანმა ამ უკანასკნელად ეკლესიის აღშენებას კი ითავე დაბა ჭიათურაში და იმ ზომაზე მიიყვანე საქმე, რომ მალე საძირკველიც უნდა გაგესვენა, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა არ დაგაცალა ამ წმიდა საქმის სისრულეში მოყვანა; სრული მოიმედე ვარ ჭიათურის პატივცემული საზოგადოებისა, რომ შენს სანახსოვროდ არ უღალატებენ ამ საქმეს და შენს სახელზე დაგვირგვინებენ ეკლესიის ჭიათურის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო შკოლის ეზოში.

შენ, ძვირფასო დიმიტრი, კერძო ცხოვრებაშიდაც დიდი გამოსადეგი და სასარგებლო ადამიანი იყავი ყველასათვის. შენი კეთილი რჩევით და დარიგებით მრავალი ახალგაზდა და გზადანებული ყმაწვილები ავიცილებია მ' უღრე ცხოვრების გზას და დაგიყენებია სწორ, კეთილ გზაზე, შენ ნამდვილი გამოცდილი ერთგული მამა და დამრიგებელი იყავი ყველასათვის. ამას წინათ ერთმა პატივცემულმა ინტელიგენტმა ერთ ოჯახში სადღენგრძელოს დროს „პატრიარხი“ გიწოდა, რაც ჩვენებურად მამათ-მთავარს ნიშნავს. ეს სახელი შენთვის შესაფერისია ამ მხრით. თუ მხედვებაში მივიღებთ ძველი აღთქმის მამათ-მთავრებს, რომელნიც თვითოველ თემში იყვნენ არჩეუ-

ლნი, მათ გარშემო შემოკრებოდნენ ახალგაზრდებიც და მოხუცებულებიც და ლებულობდნენ თავიანთ პატრიარხიდან რჩევას, დარიგებას და ყოველგვარ სწავლა-მოძღვრებას, რაც კი საჭირო იყო ხალხისათვის ცხოვრებაში. ჩვენი დროის ახალი აღთქმის „პატრიარხის“ შესახებ ვერასფერს ვიტყვი და ძველი აღთქმის მამათ მთავარს კი ბევრათ მიემსგავსებოდი.

დღეს შენი გამოთხოვების უკანასკნელი დღე არის შენს ნაამაგვეს და ნაჭირახულევე ოჯახში, შენ დღეიდგან სწყვიტავ ჩვენთან ამ ქვეყნად ყოველ გვარ ხორციელებრივ კავშირს, მაგრამ შენ იმდენად დამსახურე ჩვენი ხალხის სიყვარული, ყურადღება და პატივისცემა და იმდენათ განიერი ადგილი გიჭირავს ჩვენს გულში რომ მუდამ გვენახსოვრები.

ესთხოვ ქვეყნის შემოქმედ ღმერთს შენს საუკუნო ნეტარებას, შენ დაუქნობელ გვირგვინს იქ, სადაცა მართალნი წმიდათა თანა განისვენებენ. ესთხოვ ღმერთს, რომ შენი თანამემცხედრე, თანაერთხორცი და დაობლებული შვილები გამხნევებულიყონ და ნუგეშცემულ იქმნენ ამ ღრმა მწუხარებაში; ესთხოვ ღმერთს, რომ ის საზოგადო საქმეები, რომელზედაც შენ ხელი გეყიდა და რომელთა დაგვირგვინებასაც შენი სული და გული ესწრაფებოდა, მაგრამ სიკვდილმა არ დაგაცალა, შესრულებული ყოფილიყოს შენი სურვილისამებრ. ამინ.“

დამწერე მღვდელი.

კვირიდან-კვირამდე.

პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, სახელმწიფო საბჭოს გადაუწყვეტია სამინისტრო სკოლების იმ მასწავლებლებს, რომლებიც ხაზინიდან შემწეობეს (пособие) ღებულობდნენ, 20 წლის სამსახურისთვის მიეცესთ დამატებითი ჯამაგირი 240 მ. წელიწადში, 15, 10, 5 წლის სამსახურისთვის 60 მანეთი ყოველ მ წელის სამსახურისთვის. ამ 1913 წელში დამატებითი ჯამაგირი მიეცემა მხოლოდ იმათ ვი-

საც სამსახურში უკვე შეუსრულებიათ ოცი წელიწადი.

პეტერბურგში დაარსდა ახალი შესანიშნავი დაწესებულება: „დედათა და ჩვილთა დაცვის სრულიად რუსეთის სამზრუნველო“ მისი უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულის მფარველობის ქვეშ, რომლისათვისაც გადაღებულია ერთი მილიონი ათი ათასი მანეთი.

თანახმად პ. 2 მუხ. 74 1912 წ. სამხედრო ბეგრის წესდებისა მართლ-მადიდებელნი მედავითნენი სასულიერო აკადემიებსა, სემენარიებსა, სასწავლებლებსა, ბიისკის სამისიონერო საკატეხიზმო სასწავლებელსა, სამედავითნო სასწავლებლებსა, ეიტომირის სასწავლებელსა და საეკლესიო-სამრევლო სკოლებში კურს დამთავრებულნი განთავისუფლებული არიან სამხედრო ბეგრის გადახდისაგან იმ პირობით, უკეთუ დარჩებიან ამ თანამდებობაში 30 წლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოიწვევენ ჯარისკაცად.

13 ივნისს შეუსრულდა 25 წელიწადი ეპისკოპოსის ხარისხში მიტროპოლიტ ვლადიმერს. იგი დაიბადა ტომბოვის გუბერნიის მარშანსკის მაზრაში 1848 წ. ერის კაცობაში ე. ბოგოიავლენსკი. 1884 წ. დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. 1886 წ. ბერად აღიკვეცა შემდეგ ცოლ-შვილის სიკვდილისა, 1891 წ. დაინიშნა სამარის ეპისკოპოსად, 1892 წ. საქართველოს ექსარხოსად, 1898 წ. მოსკოვს მიტროპოლიტად და 1912 წ. კი ანტონი მიტროპოლიტის სიკვდილის შემდეგ პეტერბურგის მიტროპოლიტად და სინოდის პირველ წევრად.

სოფელ კლდეეთში (შორაპნის მ.) ახლად აგებული დასაკურთხად გამზადებული ზედმიწვრილი ეკლესია დღისით დაიწვა, მიზეზი გამოურკვეველია.

სინოდში განმარტა: ეკლესიის კრებულს

ეძლევა საზოგადოებისაგან გადაჭრილი წლიური ჯამავირი, თვითეულ მწევრს განსახლგროლი რაოდენობისა, თანახმად საზოგადოების გადაწყვეტილებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში მღვდელი მიიღებს 3 წილს, დიკონი 2 და მედავითნე კი 1, თანახმად უმაღლესად დამტკიცებული 24 მარტის 1873 წლის წესდებისა.

უ-დ. სამღვდლო გიორგი სააგარაკოთ ბორჯომს წაბძანდა, სადაც 15 მარიაშობისთვის მიღარჩება.

მოსკოვის სამოსამართლო პალატის დაუდგენია მოსპოს პირველი სამი ტომი გრაფ ტოლსტოის თხოვნულებებისა გორბენოვის გამოცემაში.

გორის ეპისკოპოსი ანტონი თფილისს დაბრუნდა კახეთიდან, სადაც წასული იყო ეკლესიების დასათვალისწინებლათ. ყოვლად სამღვდლოს, სხვათა შორის, სოფელ ქოდალოში, სადაც გადმოსული იმერლობაა დასახლებული, უკურთხებია წმ. გიორგის ახალი ეკლესია.

დაიბეჭდა და ისყიდება ქადაგებანი ვაბრიელ ეპისკოპოსისა ტომი პირველი. ფასი ყლით 2 მანეთი იბეჭდება და მალე გამოვა მეორე ტომიც. გამოცემის წმინდა მოგება დანიშნულია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მშენებელთა სასარგებლოდ განსვენებული ავტორის სურვილისამებრ, რომელიც გამოთქმულია მის ანდერძში.

ქართლკახეთის სასინოდო კანტორამ უწმ. სინოდისაგან დარიგებანი მიიღო იმ უწესობათა თავიდან ასაცილებლად, რომელსაც სინოდის ხოლმე ახალგაზრდანი სამხედრო ბეგარაში გაწვევის დროს. უწესობასთან საბრძოლველი ღონისძიებანი შემდეგი უნდა იყოს: 1) სამღვდლო სჯულის მასწავლებლებმა ახალგაზრდებს უნდა განუვითარონ გრძნობა პატივისცემისა სამხედრო წოდებისადმი და კარვით აღუხსნან, რაც არის სამხედრო სამსახური, 2) ჯა-

რში გაწვევის წინაღ მღვდელმა უნდა შეაგროვოს ცნობები, რომელი ახალგაზრდანი არიან გასაწვევნი, დაიბაროს იგინი ერთად და კეთილი რჩევა-დარიგება მისცეს; ამასთან უნდა აუხსნან, რომ მამულისა და წესიერების დამცველის უმაღლეს სახელს არ შეეფერება ის უწესობა, რომელსაც ჯარში გაწვეულნი სჩადიან, 3) ახალგაზრდათა წასვლა სამხედრო სამსახურში საგანგებო ზემოთ უნდა აღნიშნოთ: მღვდლებმა საღვთისმშობლის საშუალებით პარაკლისები უნდა გადაიხადონ, წარმოსთქვან სიტყვები, დალოცონ ახალგაზრდანი და დაურიგონ ჯვრები, ხატები და სახარება, რომელიც უნდა შეიძინონ მრევლთა შორის შეკრიბილ ფულით და 4) ახალგაზრდათა წასვლის დროს მოგზაურობის უმთავრეს პუნქტებში სამხედრო მღვდლებმა ახალგაზრდებთან საუბრები უნდა გამართონ და წირვა გადაიხადონ.

როგორც ვახ. „დენ“-ი გადმოგვეცემს, მოკლე ხანში გაიჩრევა ძლიერ საინტერესო საქმე: ცილისწამებისათვის ერთ კაცს სამართაში მიუცია ეპისკოპოსი. კიშინევის არქივისკოპოსი სერაფიმე თავის ეპარქიის ათვლიერებდა თურმე. ეპისკოპოსს საზეიმო ნადიმებს უმართავდნენ ეპარქიაში და ერთ ასეთ ნადიმზე არქივისკოპოსს სიტყვა ჩამოუგდია ისეთ აღამიანზე, რომელიც მას არ მოსწონს და სხვათა შორის უთქვამს, რომ იმ კაცს მალე პეტერბურგიდან გააძევენო. ნადიმის ერთს დამსწრეთაგანს შეუტყობინებია ამ პირისათვის არქივისკოპოსის სიტყვები. ამ პირსაც არქივისკოპოსი სამართალში მიუცია, მაგრამ ვინ გაასამართლებს არქივისკოპოსს, არ იციან.

რ.ს. „გადმოცემით გემზებრსონს“ ათონის მთიდან მოყავს 360 აჯანყებული ბერები, რომელთაც რუსეთში დასჯა მოელის. მათ შორის ყოფილა ბევრი ისეთი დამნაშავე, რომელსაც დიდი ხანია ეძებდა რუსეთის მთავრობა; სხვათა შორის ამათ რთხვში ყოფილა 6 მატროსი, რომელნიც რევოლუციის დროს გემ „პატრიომ-

კინის“ კომანდის აჯანყებაში იღებდნენ მონაწილეობას.

რედაქციისაგან. „შინ. საქ.“ № 5-ში დაისტამბა წერილი ვინმე „დამსწრე მრევლთაგანისა“, რომელიც კულათ ეხებოდა თავადთ მიხეილ და შალვა თავდგირიძეებს. ამის პასუხათ ბ. მ. თავდგირიძემ წერილი მოათავსა იმავე გაზეთის № 10, სადაც სამედიკორო სამართალში იწვევდა კორესპონდენტს, როგორც ცილის მწამებელს. ჩვენმა კორესპონდენტმა ამაზე პასუხი აღარ გასცა, საიდგანაც მტკიცდება კორესპონდენტის სიყალბე. რედაქცია საყვედურს უცხადებს ბ. „დამსწრე მრევლთაგანს“ ყალბი ცნობის მოწოდებისათვის და ბოდიშს იხდის პატივცემულ თავადთ მ. და ბ. თავდგირიძეებთან.

სამღვდელოების დეპუტაცია.

ამ დღეებში პეტერბურგის მიტროპოლიტს ვლადიმერს და ობერ-პროკურორს საბლერს წარუდგა დუმის სამღვდელოებისაგან დეპუტაცია. დეპუტაციის გაგზავნა გამოეწვია დუმაში გაერცელებულ ხმას, რომ ვითომ უმაღლეს სასულიერო ბიუროკრატია საბლერის მიერ წარდგენილ წესდების დამოუკიდებლად შეედგინოს საიდუმლო წესდება შესახებ სასულიერო სასწავლებლებისა. ამ ახალი წესდების მიზანი ყოფილა გზა დაეხშო სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთათვის უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა.

დეპუტაციასთან ბაასის დროს პეტერბურგის მიტროპოლიტმა საკმაოდ ორიგინალური შეხედულება გამოსთქვა საეკლესიო საკითხების შესახებ, აგრეთვე სახალხო წარმომადგენლობაზე.

სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლების ჯამაგირების მომატების საკითხზე მიტროპოლიტმა ვლადიმერმა შემდეგი უპასუხა:

— დაუკლებს, თუ მოუმატებს დუმა მასწავლებლების ჯამაგირს, ამაზე ჩვენ ძალიან არ ვზრუნავთ. უამისოთაც ისინი საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან.

შესახებ სასულიერო სასწავლებლების გათანასწოებისა საერო საშვალხო სასწავლებლებ-

თან მიტროპოლიტმა უარი განაცხადა.

—სოფლის სამღვდლოება, რომ თავის სამწყსოზე განათლებით მალე იდგეს არ შეეძლოს, —სთქვა მიტროპოლიტმა. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ნაკლები განათლების პატრონი მღვდლები უფრო კარგათ ჰკიდებიან თავის მოვალეობას, ვიდრე ნასწავლები. ამიტომ სოფლის მღვდლისათვის სრულიად საკმარისია ის ცოდნა, რომელსაც იძლევა ეოსტორგოვისებური კურსები.

როდესაც დებუტატებმა შიში გამოხატვეს, რომ ნაკლები განათლების პატრონი მღვდლებს დუმამ შეიძლება ხაზინიდან ჯამაგირი არც კი დაუნიშნოსო, მიტროპოლიტმა სთქვა:

— სამღვდლოება უამისოთაც უზრუნველყოფილია. რამდენადაც სამღვდლოება ნაკლებადაა უზრუნველყოფილი, იმდენათ უმჯობესია, რადგან თავს არ გაუვა და მრევლზე მეტობას არ დაიწყებს.

ერთმა დებუტატთაგანმა ამაზე შენიშნა, რომ წინანდულათ ფულის აღება მრევლისაგან დამამკირებელია ღვდლისათვის.

— მე არ მესმის, რა არის აქ დამამკირებელი, — მიუგო მიტროპოლიტმა. ექიმები ხომ ღებულობენ სასყიდელს ავთიმყოფებისაგან. ეს არ ითვლება დამამკირებლად და რატომ მღვდლებს კი არ შეუძლიათ მიიღონ სასყიდელი მრევლისაგან?

როცა დებუტატებმა მოახსენეს, შესაძლებელია საეკლესიო პოლიტიკის სხვადასხვაობამ დუმასთან კონფლიქტი გამოიწვიოსო, მიტროპოლიტმა მიუგო:

ჩემი აზრით ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია სჯობია თლათ განეყოს სახელმწიფოს, ვიდრე დუმას დაემონოს.

ობერ-პროკურორი ამ დებუტატის სულ რამდენიმე წამი ესაუბრა. მოისმინა თუ არა მათი მოხსენება, მან უთხრა: „აქ ყველაფერი ში დამნაშავე ოქტომბრისტებია და არა ჩვენო“.

ამაზე ერთმა დებუტატმა დეკანოზმა ოქტომბრისტმა მიუგო:

— რა შუაშია აქ ოქტომბრისტები, რო-

ცა თვით სასულიერო უწყება ხელს უშლის ბევრ სასარგებლო კანონპროექტის განხორციელებას.

კ. ვ. საბლერმა ხმა არ ამოიღო.

(„Рус. Слово“ № 139).

რედაქტორი მღვდელი სიმონ მახალიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

40 ДНЕЙ
!!! БЕСПЛАТНО !!!

Если Вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать, и писать по вѣмечки французски, англійски и латински по нашимъ самоучителямъ, составлен. по повѣвшему методу (всѣ другіе—реклама), деньги возвращаемъ обратно. Цѣна самоучителя одного языка съ перес. наложен. плат. 1 р. 10 к., 2-хъ—1 р. 90 к., 3-хъ—2 р. 80 к., 4-хъ—3 р. 65 к., Заказы исполн. един. сылать для всей Россіи. С.-Петербургъ, Петербург. стор. Большой пр., 56—567 Я. К. ПЕТЕРСЬ.

1-е заочные кулинарные курсы.

Полный курсъ лекцій для самообученія „скромный и красивый столъ“, около 100 рецептовъ кушаний, ванілювъ, печенія, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ, широговъ и друг. Слѣшкомъ 300 стр. убористаго шрифта. Цѣна съ перес. налож. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правильно вести домашнее хозяйство и приготовить экономическіе, вкусные и питательные обѣды съ приложеніемъ разрѣзанъ мяса и украшенія стола и блюдъ около 100 стр. съ рисунками. Цѣна 1 р. 20 к. Обѣ книги выстѣ 3 р. 35 к. (можно жарками).

Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ, Пет. стор., Большой пр. № 561—62